# პრემიერი და მთავრობა მთავრობს, პარლამენტი პარლამენტობს, პრეზიდენტი პრეზიდენტობს! –
## ქართველი ხალხის სახელის გამტეხი ოპოზიცია კი ისევ იღრინება და ევროპის ღია კარს ამტვრევს!


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი-სამშაბათი, 4-5 ივლისი. 2022 წ. №83-84 (9421-9422) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი








ევროპული საქართველოს გუშინდელი საგანგებო ულტიმატუმი:

## საქართველო ნაცისტური მიტინგების გარეშე!

3 ივლისი, 21 სთ:

## ყავარჯნიანი რევოლუციის მესამე ამაო ცდა...

# ნაბიჭვრები



**უკრაინის კალათბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ულირსი საქციელი,** ჩემი ღრმა რწმენით, არ ყოფილა „რაიმეზე" უცაბედი ემოციური რეაქცია, ანუ **არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა.** სპორტსმენები, მითუმეტეს, ზრდასრულები და მითუმეტეს, გამარჯვებულები ასე არ იქცევიან. **ქართველი კალათბურთელების მისამართით ამ ნაბიჭვარმა ის ჟესტი გააკეთა, რასაც აგერ უკვე მეექვსე თვეა მთელ საქართველოს გვიკეთებენ ზელენსკი, არახამია, პოდოლიაკი, დანილოვი, გონჩარენკო, არესტოვიჩი...** რომლებსაც ვერაფრით მოუნელებიათ, რომ **მათი გაურკვეველი ინტერესების სამსხვერპლოზე არ მივიტანეთ ქართველი ქალებისა და ბავშვების სიცოცხლე(?).**

სამწუხაროა, მძიმედ სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს უკრაინის ომის მიმართ ყველა თავმოყვარე ქართველს გაორებული დამოკიდებულება აქვს — **ვგულშემატკივრობთ უკრაინას და უკრაინელ ხალხს, მაგრამ არ ვგულშემატკივრობთ უკრაინის ულირს ხელისუფლებას(!).** მწარე სიმართლეა, მაგრამ სიმართლეა!!!

იმ ხანგრძლივი აღვირახსნილი კამპანიიდან გამომდინარე, რაც საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ სრულიად უსამართლოდ ხორციელდება (არა მხოლოდ უკრაინის ხელისუფლების მხრიდან), ჩვენს გულსა და გონებას დაახლოებით ასეთი შინაარსის ბუნებრივი და სრულიად სამართლიანი ფიქრი მართავს.

**როცა საქმე ჩემს პირად ღირსებას ეხება და მითუმეტეს, ჩემი სამშობლოს ღირსებას ეხება, ყველას და ყველაფერს არ მოუკვდა** (შეგიძლიათ ბრჭყალებშიც ჩასვათ) **პატრონი?!**

ბიძინა დვალი

02.07.2022 წ

იაკობ ლეჟავა:



②

„ცული მე რას დამაკლებდა, შიგ ჩემი გვარისა რომ არ ერიოსო"

## აბსურდის ჭაობში ჩამხრჩვალი ქვეყანა

## დიდ სიახლეთა კვალ-დაკვალ რუსთველოლოგიაში

⑧



პროფესორი არჩილ ხომასურიძე 80 წლისაა!

⑤



## უშვილო მრავალშვილიანი

# აბსურდის ჭაობში ჩამხრჩვალი ქვეყანა




2022 წლის 20 ივნისს პარლამენტის წინ ჩატარდა ხალხმრავალი აქცია-მიტინგი აბსურდული ლოზუნგით – **„შინ ევროპისკენ“.** სირცხვილია, როცა აქციის ორგანიზატორები სრულ უცოდინარობას ავლენენ საქართველოს ისტორიაში, პოლიტიკაზე რომ არაფერი ვთქვათ. თუმცა, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყველაფერი ნათელი ხდება, როცა ვიგებთ, რომ აქციის ორგანიზატორი სწორედაც შესაფერი სახელის მქონე, ნაცების მხარდამჭერი (**სააკაშვილ-გვარამიას** განთავისუფლების მომთხოვნი), სამოქალაქო-პოლიტიკური მოძრაობა – **„სირცხვილია“** ყოფილა! მაშასადამე, დიდი ალბათობით, ეს სამარცხვინო ლოზუნგიც ამ მოძრაობის ლიდერების – ვინმე **დიღმელაშვილის** და **მაქარაშვილის** მოფიქრებული იქნება, რომლებსაც ერთი, მათი პოლიტიკური ჭკუის მქონე და აქციის წამყვანი, მწერლად წოდებული **ლაშა ბუღაძეც** წაეხმარებოდა უთუოდ! ახალგაზრდებს შევახსენებ, ეს „ჩეჩმის მწერალი“, როგორც მას მოიხსენიებენ, იმ **გია ბუღაძის** შვილი გახლავთ, რომელმაც სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გოგო-ბიჭებისთვის სადიპლომო „ნაშრომად“ ერთმანეთისთვის რიგ-რიგობით სახეში(!) ფურთხება მოიფიქრა (წრეში ფეხმორთხმულ მდგომარეობაში და საათის ისრის მიმართულებით), აბაა! რაც – მამა, ის – შვილი! აბა, სხვამ თუ არა, მწერალმა კაცმა ის მაინც ხომ უნდა იცოდეს, რომ ევროპა არასოდეს ყოფილა ჩვენთვის „შინ“, ანუ ჩვენი სახლი, ადგილსამყოფელი, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, დავოჯახდით და სისხლიც დაგვიღვრია მისთვის – **„შინ“** ხომ ზუსტად ამ შინაარსის მატარებელი სიტყვაა! და ორმაგად სირცხვილია, როცა სხვასაც – ახალგაზრდების, ვითომდაც, შედარებით ჭკვიან და ტელეეკრანზე გამოსაჩენ სახეებს პირდაპირ ეთერში აყვირებ: **„წინ ევროპისკენ, შინ ევროპისკენ“!**

**„შინ“** და **„ევროპა ჩვენი ისტორიული არჩევანია“** – ერთნაირი აბსურდია (ეს მეორე ლოზუნგი ვის ეკუთვნის, ვერ გეტყვით, ალბათ ილიაუნის სტუდენტს ან – სულაც ლექტორს!). ასე იცის დასავლეთის წინაშე თავის გამოჩენის გადამეტებულმა სურვილმა, ნამეტანმა მონდომებამ! ამ სულელურ ლოზუნგს ისინი გაჰკივიან, რომლებსაც **სააკაშვილის** წამოროშილი: **„თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია“** და, პრემიერ **ჟვანიას** ნათქვამიც: **„მე ქართველი ვარ, მაშასადამე, ვარ ევროპელი“,** მოხდენილად ნათქვამი სიბრძნე ჰგონიათ. ოთხივე გამოთქმა ერთი მეორეზე უკეთესი „სალადაო“ მასალაა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, ამიტომ მხოლოდ ერთს ვკითხავ ნაცებს და იმ ქოცებსაც, რომლებიც ევროპას უალტერნატივო, თანაც, ქართველი ხალხის ისტორიულ არჩევანად თვლიან: უკაცრავად, მაგრამ ეს როდის აქეთ გახდა ევროპა ქართველების ისტორიული არჩევანი? 300 წლის წინათ, გაჭირვებულ დღეში ჩავარდნილმა ქართულმა სამეფომ, როცა ვერსაიდან დახმარება ვერ მიიღო, **სულხან საბა** ცხრა მთას იქით რომ გააგზავნა, შორეულ საფრანგეთში **ლუდოვიკოსთან** სამათხოვროდ, მას აქეთ? ვაი, თქვენს პატრონს, ვინც ასე ფიქრობთ!

იხ. 6-7 გვ.

# უფასო რჩევები საქართველოს ოპოზიციას:

**1. შეწყვიტეთ ნებისმიერი პრობლემის მასობრივ დემონსტრაციათა ორგანიზებისთვის გამოყენება, ისეთი მიტინგების გამართვა, რომელთა მთავარი მოთხოვნა მთავრობის გადადგომაა.**

არმაგედონის პოლიტიკის არც თავი გაქვთ და უწყვეტ შფოთს შედეგიც ვერ მოაქვს. თქვენი ელექტორატი დაიღალა მუდმივი იმედგაცრუებით, არ შეიძლება ყოველ ორ თვეში ერთხელ ხალხს მოუხმობდე „გადამწყვეტ ბრძოლაში“ მონაწილეობისთვის! გადამწყვეტი ბრძოლა არის იშვიათი მოვლენა, მას წინ ჩვეულებრივი ბრძოლები უნდა უძღოდეს.

**2. წინასწარ დაჯგუფდით ოთხ-ხუთ ძირითად ბლოკად, ბანაკად. პირობითად შეიძლება შეიქმნას:**

ა) ენმ-ს ბანაკი;

ბ) ALDE-ს წევრი პარტიების ბანაკი (ლელო, შმელო, ჭიჭე, მიჭე შალო-გუგავა და ა.შ.)

გ) რუსეთთან მიმართებით ლოიალურად განწყობილი ძალების ბანაკი;

დ) მემარცხენე ფრონტი (ანტისისტემური, ყველას წინააღმდეგ!)

და ა.შ.

**3. დღესვე დაიწყეთ მზადება 2024 წლის არჩევნებისთვის, რისთვისაც საჭიროა:**

ა) რეგიონული სტრუქტურების მშენებლობა, ადგილობრივ საკრებულოებში საქმიანი, თემატური აქტიურობა (აი, ანა გოგოლაძე რომ მუშაობს თბილისის საკრებულოში დაახლოებით ისე). თითოეულ რაიონში თითო კარგად გამართული, მობილიზებული, მოტივირებული უჯრედის ჩამოყალიბება.

ბ) პროგრამული პრიორიტეტების ჩამოყალიბება და მათი განხორციელებისთვის მუშაობა.

ხომ შეიძლება საპარლამენტო პარტიამ წარმოადგინოს ხუთი, მაქსიმუმ ათი კანონპროექტი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ადამიანების ყოფის გაუმჯობესებას, და 2024 წლამდე მათ დასამტკიცებლად მასობრივი კამპანიები გაშალოს მთელი ქვეყნის მასშტაბით, კამპანიების საფუძველზე მოიზიდოს მხარდამჭერები, პოტენციური პარტნიორები. ხომ შეუძლიათ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს აუხსნან რომელი 10 მკაფიოდ ფორმულირებული იდეის განსახორციელებლად სურთ ხელისუფლებაში მოსვლა.

გ) კომპრომისის მიღწევა ხელისუფლებასთან საარჩევნო და საკონსტიტუციო რეფორმებთან დაკავშირებით, რათა შედარებით ხელსაყრელი და თანასწორი პირობები შეიქმნას.

ნორმალური საარჩევნო გარემო ქვეყანაში კიდევ 20 წელი არ გვექნება, ხარვეზები ყველა კენჭისყრაზე იქნება, საარჩევნო პროცესებზე ფულის, ადმინისტრაციული რესურსების, ძალოვანი უწყებების გავლენათა სრულად აღმოფხვრას კიდევ დიდ ხანს ვერ შევძლებთ. ეს არის ფაქტი! ვერ გავექცევით!

ჯანსაღ საარჩევნო გარემოს სჭირდება ეკონომიკური კეთილდღეობა.

ასეთ შემთხვევაში გამოსავალი ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფოს ზანზარი და ისტერიკა არ არის. გამოსავალი არის შედარებით ხელსაყრელი და თანასწორი პირობების მოპოვება, მეტი რეგულაციებისა და კანონების მიღება.

იმდენად უნდა გაძლიერდე, რომ არათანაბარი სასტარტო პირობების მიუხედავად მაინც გაიმარჯვო. საქართველოს ისტორიაში შეგვიძლია გავიხსენოთ არაერთი ეპიზოდი, როდესაც უსამართლო საარჩევნო გარემომ ოპოზიციის გამარჯვება ვერ შეაფერხა. 1991 წელს „მრგვალმა მაგიდამ“ კომუნისტებს აჯობა, 2003 წლის 2 ნოემბერს ოპოზიციამ ხმების 60% მოაგროვა, შევარდნაძემ და ასლანმა კი ერთად მხოლოდ 40% იგდეს ხელთ, 2012 წელს ივანიშვილმა აიძულა სააკაშვილი ხელისუფლებიდან წასულიყო.

იხ. 11 გვ.

# სალომე ზურაბიშვილიც აღიარებდა, რომ კატუკიას კომპეტენცია დაბალი იყო!..

## „ოცნების“ კადრები ოცნებებს გვიფუშავენ!



**საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩმა თეა კატუკიამ თანამდებობა დატოვა. გადადგომის მიზეზად კატუკია ასახელებს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ელჩის თანამდებობაზე დანიშვნის პირველი დღიდან, მუდმივ რეჟიმში ზეწოლა ხორციელდებოდა. აღნიშნულს უკვე მოჰყვა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან შეფასებები. მათი თქმით, თეა კატუკია ელჩის თანამდებობას არ შეესაბამებოდა და ამიტომ გაიწვიეს. ასევე აღნიშნა, რომ ყოფილი ელჩი პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მეგობარი იყო და საფრანგეთის ელჩის თანამდებობაზე სწორედ მისი გადაწყვეტილებით დაინიშნა.**

ვხედავთ, რომ სალომე ზურაბიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შორის ერთგვარი დაპირისპირება არათუ ნელდება, იზრდება და ღრმავდება. ეს ღია და აშკარა პროცესი აჩენს ეჭვს, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დადგომა, რომელიც ერთი პერიოდი აქტუალური იყო, შესაძლოა კვლავ „გაცოცხლდეს“ და საქართველოს ხელისუფლების დღის წესრიგად იქცეს.

ანალიტიკოსი **პაატა ზაქარეიშვილი** აცხადებს, რომ მმართველი პოლიტიკური პარტია მსგავს ნაბიჯზე არ წავა, რადგან ამით „ქართული ოცნება“ მხოლოდ თავის თავს გაინადგურებს.

**„მთლად ასე ნუ „გაიბანძებენ“ თავს. იმპიჩმენტზე წასვლა „ქართული ოცნების“ განადგურებას ნიშნავს. ელჩის ასე დემონსტრაციულად წასვლა, აშკარად აჩვენებს იმ ტენდენციას, რაც „ქართულ ოცნებაშია“,** – ყველას და ყველაფერს აკონტროლებენ. **მგონია, რომ „ქართულ ოცნებას“ ეშინია სალომე ზურაბიშვილის გაძლიერების. ამიტომ, ასეთი „ჩქმეტებით“ უნდათ, რომ ზურაბიშვილის რეპუტაცია შეასუსტონ, თუმცა, პირიქით, ზრდიან. ეს არის უგნურება, „ქართული ოცნებისთვის“ გამანადგურებელი მოქმედება. „ოცნებას“ არ ჰყავს რეალური მოწინააღმდეგე, რადგან ოპოზიცია ხელისუფლებაზე უფრო უდღეურია“,** – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** თვლის, რომ იმპიჩმენტი ძალიან ხმაურიანი მოვლენაა და პროცესი აქამდე არ მივა.

**„იმპიჩმენტი მეტისმეტად ხმაურიანი მოვლენაა და დაძაბულობა იმ სიმძლავრის არ ჩანს, რომ იმპიჩმენტამდე მივიდეს საკითხი. ამასთან, იმპიჩმენტის დადგომას საფუძველი უნდა, დანაშაული უნდა იყოს ჩადენილი და არ მგონია, რომ ზურაბიშვილთან რაიმე დანაშაულის ნიშნები იყოს. ამ მხრივ, ზურაბიშვილი არ იმსახურებს კრიტიკას.**

**განცხადება, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ზეწოლას ახორციელებდა მასზე, ცოტა ოდიოზურად გამოიყურება.**

**როგორ განვითარებდება მოვლენები, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, როგორ რეაქციას მისცემს საქართველოში მიმდინარე პროცესებს დასავლეთი. თუ „ოცნების“ ჯგუფსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა გამწვავდა, ვვარაუდობ, რომ ზურაბიშვილი დასავლეთის მხარეს დაიჭერს, მაშინ მასსა და დასავლეთს შორისაც გამწვავდება ურთიერთობა. თუკი ურთიერთობა ჰარმონიულად წავიდა ჩვენსა და დასავლეთს შორის, ალბათ, ზურაბიშვილსაც არ ექნება ვითარების გამწვავების საბაბი“,** – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს ყოფილი ელჩის თეა კატუკიას საქმიანობით უკმაყოფილო იყო. როგორც კობახიძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, პრეზიდენტი თეა კატუკიას გარკვეული მიზეზების გამო, არ ელაპარაკებოდა.

**„მე ძალიან ბევრი ინფორმაცია მაქვს ამ ადამიანის შესახებ, თუმცა არ ვიცი რამდენად სწორი იქნება, რომ პარტიის თავმჯდომარე საუბრობდეს ყოფილ ელჩზე. ძალიან ბევრი ინფორმაცია მაქვს მასზე. მაინცდამაინც კარგი არ არის ეს ინფორმაცია, მათ შორის, თავად მისი წარმდგენი სალომე ზურაბიშვილიც სრულიად უკმაყოფილო იყო მის მიერ გაწეული საქმიანობით, არ ელაპარაკებოდა საერთოდ მას გარკვეული მიზეზების გამო“,** – აღნიშნავს კობახიძე.



პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა **გია ვოლსკიმ** საფრანგეთში საქართველოს ყოფილ ელჩ თეა კატუკიასთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა, რომ ყოფილი ელჩი არაკომპეტენტურია და ის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გარედან, სალომე ზურაბიშვილის რეკომენდაციით მოიყვანა.

**„საგარეო საქმეთა სამინისტროს არავითარი საფუძველი იმისა, რომ რაიმე ზეწოლა მოახდინოს, მით უმეტეს ელჩზე, არ გააჩნია. რასაკვირველია, აქ კომპეტენციის თემაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოფილი ელჩი ცუდი ადამიანია, მაგრამ ფაქტია, რომ ის არაკომპეტენტურია“,** – განაცხადა გია ვოლსკიმ.

**ნიკო ჩოხელი**

# ყავარჯნიანი რევოლუცია ხალხში გადის



ამჯერად პედერასტები „თვითგამოხატვის უფლებას" იცავდნენ წმინდა მთაზე... აქციის 26 მონაწილე დაკავებულია წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით.

# პრემიერი და მთავრობა მთავრობს, პარლამენტი პარლამენტობს, პრეზიდენტი პრეზიდენტობს! – ქართველი ხალხის სახელის გამტეხი ოპოზიცია კი ისევ მიტინგობს და ღია კარს ამტვრევს!

**ივნისის მესამე დეკადა ერთობ ხმაურიანი, ქუჩაშიგამოსვლიანი და ფათერაკიანი გამოდგა. მას დასაბამი ევროკავშირის მოსაცდელში საქართველოს ყურყუტისას მიეცა, აფეთქებით კი მას შემდეგ აფეთქდა, როცა კანდიდატის სტატუსზე უარი გვტკიცეს.**

**აღმოჩნდა, რომ ჩვენს რადიკალურ, ყველგან მყოფ და ყველაფერში ცხვირჩაყოფილ ოპოზიციას უევროპოდ არათუ სიცოცხლე, არამედ სუნთქვაც არ შეუძლია. ჰოდა, დაიწყო! ან როგორ არ დაიწყებოდა, როცა ეს ღვთის საჩუქარი პირდაპირ ციდან ჩამოუვარდათ.**

პირველი შეკივლებისას, 20 ივნისს, „100 ათასი თუ 160 ათასი", ანუ 30 ათასამდე კაცი გამოვიდა ქუჩაში, მიტინგზე, რომლის ორგანიზატორიც ნაცმოძრაობის ახალგაზრდული ფრთა „სირცხვილია" იყო (ვაი, სირცხვილო!). მიტინგიც „ახალგაზრდულად" – პოლიტიკური პარტიების გარეშე წარიმართა. დამსწრე საზოგადოება ერთობ ჭრელი ვიხილეთ: პოლიტიკური მრწამსით, მოწოდებით, ასაკით. მათ მხოლოდ „დაკარგული" ევროპული შესაძლებლობა აერთიანებდათ, უფრორე, აღიზიანებდათ და ამ თავისმომჭრელი იაღლიშის შემოქმედი აინტერესებდათ.

მიტინგს, როგორც ვთქვით, გამორჩეული ნიშან-თვისება ჰქონდა-მიკროფონს არ გააკარეს იქვე მოძუძგურე ნაფიცი პარტიების ლიდერები, ანუ ამით ხაზი გაუსვეს მიტინგის „სახალხო" ხასიათს (ეს გარეგნულად, თორემ ისე, სიღრმისეულად, ყველაფერი დამაბრმავებლად-ნაცურად მიმდინარეობდა).

ასეთივე პათოსით წარიმართა მასობრიობით ბევრად მოკრძალებული 24 ივნისის მიტინგიც. ოღონდ აშკარა გახდა, რომ ეს სახალხო შეკრება უფრო ეკლიან საბოლოო მიზნებს ისახავდა-ხელისუფლების დამხობას, რეჟიმის შეცვლას. მთავრობას მიეცა ულტიმატუმი: 3 ივლისამდე წარმოადგინოს მდგომარეობის გამოსწორების (ევროკავშირის დავალების უტყუარი შესრულების გეგმა და სხვ.), თორემ სახალხო კრება გადააყენებს ხელისუფლებას და შეადგენს ტექნიკურ მთავრობას, რომელსაც მანდატს ევროკავშირის დავალებათა აღსრულებასო. ხაზი გაესვა, მომენტია, ხელისუფლება შოკშიაო.

ასე წარმოგვისახავდნენ ქვეყანაში შექმნილ „პოლიტიკურ კრიზისს" ჩვენი მარად მართალი პარტიები და მათი ტელეარხები.

**ოღონდ ეს კია: ხელისუფლებას პოლიტიკური კრიზისი, შოკში მყოფობისა და კანკალისა არაფერი ეტყობოდა. მთავრობა მთავრობდა, პარლამენტი მთავისას ახურებდა, პრემიერ-მინისტრი მადრიდის ნატოს სამიტზე მოშურნეთა გულის გასახეთქად პრემიერობდა, ოპოზიცია უახლოეს დღეებში აპოკალიფსს მეტყველებდა. ახლაც წინასწარმეტყველებს. ისე, ამ დღეებში, უფრო ზუსტად, 28 ივნისს, პარლამენტში ერთი ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა, რომლის თავი და ბოლოც ბევრმა პარლამენტარმა, პოლიტიკოსმა თუ ანალიტიკოსმა ვერ გაიგო და ატყდა ერთი დავიდარაბა.**

„ქართულ ოცნებას", მის საპარლამენტო უმრავლესობას სამი „პოლკოვნიკი" (კომისიათა თავმჯდომარეები) გამოაკლდა: სოზარ სუბარი, დიმიტრი ხუნდაძე და მიხეილ ყაველაშვილი. ეს მართლაც მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო. მდგომარეობა ვერ გამოასწორა ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მამუკა მდინარაძის ბრიფინგმა, სადაც საზოგადოებას ეცნობა, რომ სამეულის ამ „დემარშის" მიზეზი იყო პარტიაში ერთადერთი შეუთანხმებელი საკითხი, კერძოდ, ის, რომ "პოლიტიკურ თემებთან მიმართებით ინფორმაციის დოზირება საკმარისი არ არის საიმისოდ, რომ საზოგადოება საქმის კურსში იყოს და სწორი დასკვნები გააკეთოს". სამეულმა გადაწყვიტა, ამ დამალული ინფორმაციების გახმაურებისათვის თავისუფალი საპარლამენტო მანდატი გვჭირდებაო, საზოგადოებას დაუფარავად უნდა ვუთხრათ, რაც ხდება პოლიტიკის კულისებშიო.

რადგან მაინც ვერავინ გაიგო, რა თამაშს თამაშობდა „ოცნება", რა იდგა მათი ნაბიჯის უკან, ოპოზიციაში დიდი აჟიოტაჟი ატყდა, გაურკვევლობის ბურუსი ნაწილობრივ გაფანტა განდგომილთა ერთობლივმა განცხადებამ. მათ ხალხისთვის სიმართლის თქმა შორიდან დაიწყეს, კერძოდ, ნაცმოძრაობის, მათი მედიებისა და ენჯეოსატელიტების ბაკურიანში შემდგარი საიდუმლო შეკრებით, სადაც ამერიკიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს რევოლუციების ცნობილი სპეციალისტი პიტერ აკერმანი.

მეამბოხე სამეულმა ვითარება სულ გაავარვარა, როცა განაცხადა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის თემა ერთგვარი სათაგური იყო, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებას თავი შეაყოფინესო. თურმე პირველადი გათვლით, ევროკავშირში კანდიდატობაზე განაცხადის შეტანა პარლამენტში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს უნდა გაეხმიანებინა. მან კონსტიტუციის დარღვევით პარლამენტის სხდომაც კი დააანონსა, მაგრამ ეს სცენარი ჩაიშალა. ამის შემდეგ ხელისუფლება იძულებული გახდა, თვითონ შეეტანა განაცხადიო.

ბაკურიანის შეთქმულებმა წინასწარ იცოდნენ, რომ საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებდა და, როგორც კი ასე მოხდა, მყისიერად გამოვიდნენ და მთავრობის გადადგომა მოითხოვესო. სამეული ზემოხსენებულ სცენართან დაკავშირებით დაბეჯითებით გვახსენებს, რომ მთავარი მიზანი საქართველოს ომში ჩაბმაა. სწორედ ამის გამო იყვნენ ვოლოდიმირ ზელენსკი და მისი მარჯვენა ხელი დავით არახამია 24 ივნისის რევოლუციური მიტინგის პერსონაჟები, რაც აგრეთვე აკერმანის სცენარის ნაწილი იყოო. სამეული დარწმუნებულია, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსს არ მიანიჭებენ, თუ ის ომში არ ჩაერთო.

ასეთია ამ სამი ნაფიცი ოცნებელის განდგომის ამბავი, რაც ოპოზიციიდან არავინ დაიჯერა. ნუ დაიჯერებენ, ფაქტი ის არის, რომ მართლაც ბევრი სიმართლე შევიტყვეთ. ოპოზიცია, რომელიც უკვე სახალხო მოძრაობას უწოდებს თავს და დღეს-ხვალ „ტექნიკური მთავრობის" შესაქმნელად ემზადება, ტყავიდან ძვრება, რომ ხალხმა აღარაფერი დაუჯეროს მთავრობას.



პროვოკატორი ვატო წერეთელი მიბეგვა, თუ გაასილაქა, თუ უბრალოდ, სცემა ოცნებელმა კანონმდებელმა ანრი ოხანაშვილმა.

„ქართულმა ოცნებამ" შეიმუშავა საფუძვლიანი კონკრეტული გეგმა ევროკავშირის ყველა, თორმეტივე რეკომენდაციის შესასრულებლად. შეიქმნება სამუშაო ჯგუფი დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონზე სამუშაოდ, ასევე, კომპლექტდება მონიტორინგის ჯგუფი დეპოლარიზაციის ხელშესაწყობად; წარმოდგენილია გეგმა თორმეტივე პუნქტის დროულად და ხარისხიანად შესასრულებლად პასუხისმგებელი სუბიექტებითა და კონკრეტული ვადებით.

შენც არ მომიკვდე! ოპოზიციამ უმალ გამოაცხადა ეს გეგმა ფუტუროდ, არაფრის შემძლედ, მავნედაც კი. ოპოზიციონერებს, განსაკუთრებით ჭიჭე ვაშაძეს, რომელიც ეს დღეებია ტელევიზიებში ათენ-აღამებს და აშკარად ჩანს, რომ თუ ღმერთმა ინება და ბუნტი დაიწყო, შეიძლება აიხდინოს სანუკვარი ოცნება და „ტექნიკურ მთავრობას" თეთრ ცხენზე ამხედრებული წარუძღვეს (თუ მეშურნე თანამოაზრეებმა შურდულებით არ ჩამოაგდეს!), არსებულ ხელისუფლებასთან რაიმე მოლაპარაკებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდა, სჭექს და ქუხს, რომ მხოლოდ ოპოზიციას ძალუძს ქვეყანა ევროკავშირამდე მიიყვანოს, მაშინ როდესაც „ოცნება" თურმე რუსეთისკენ, პუტინისკენ მიგვაჩაქჩაქებს.

**განსაკუთრებით დანას ეხევა „ტვ პირველი". იგი გააფთრებით რეაგირებს ყოველი კოღოს გაწუილებაზე, რითაც კი შეიძლება ხელისუფლების, „ქართული ოცნების" კბენა და შეღრენა. მაგალითად, თითქმის ორი დღე დაუთმო ამერიკის საელჩოში მომხდარ ინციდენტს, როცა ამ არხის დამფუძნებელი ვატო წერეთელი მიბეგვა, თუ გაასილაქა, თუ უბრალოდ, სცემა ოცნებელმა კანონმდებელმა ანრი ოხანაშვილმა. ოღონდ, როგორც ირკვევა, ამას წინ უძღოდა ნაცემის უღირსი, არაკაცური პროვოკაცია მცემლის მიმართ. ნეტავ, კინოფილმ „რეკორდისა" არ იყოს, დურუ ხუნჭუასავით რა ისეთი ვაშინერი ჩაჩურჩლა ყურში ჯოტია ცაავა-ანრი ოხანაშვილს, რომ თმენის ვალდებულებაც დაავიწყა, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნაც და ვაჟკაცურად გასცხო... ახლა ტელეარხი და მის მიერ ორგანიზებული ოპოზიცია ცდილობენ საკუთარ თავს გადაახტნენ გვემულისათვის ნაგვემის დასაამებლად. თვითონ ვატო ცრემლად იღვრება, სამართალდამცავებმა მოძალადე დასაჯონო, კელი დეგნანმა მომხედოს, აკი მის ტერიტორიაზე იძალადესო, სულაც აშშ გენერალურმა პროკურორმა აღძრას სისხლის სამართლის საქმეო. ახლა მთელი ქვეყანა მიჩერებულია, ოხანაშვილს თავს მოკვეთენ, მკლავს მოჭრიან თუ სამუდამოდ გუანტანამოს ციხეში ამოხდიან სულს...**

**ისე რომ, არაჟანსალი ხმაური, სიბილწის ყურში ჩაფუჩუნება, მალულად ყბაში გალაწუნება და სხვა ტრადიციული თანმდევი მოვლენები არ გვაკლია.**

**სულ ღრიანცელით მიმდინარეობდა ყავარჯნიანი რევოლუციის „ხალხში გასვლა" თელავში, ხონში, ყვარელში, ზუგდიდში, ფოთში...**

**შაბათს „ალტ-ინფოს" და კონსერვატიული მოძრაობის ხალხმრავალი აქცია მოეწყო გეიპარაიდის წინაალმდეგ, პოლიციამ, რომელიც... ამჯერად პედერასტების "თვითგამოხატვის უფლებას" იცავდა წმინდა მთაზე, აქციის 26 მონაწილე დააკავა წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით. ასეთ მსხვერპლს გაუძლებს კაცი, რაკი ამ ლაშქრობამ თავის მიზანს მიაღწია.**

**აი, გუშინ ხომ სულაც „სახალხო მოძრაობის" მესამე „მშვიდობიანი" მიტინგი გაიმართა. მოგვწონს თუ არა, ასეთია ჩვენი დღევანდელობა...**

**ოპოზიცია თავისი მოკლე ჭკუით, ისევ ევროპის, ნატოს და ევროკავშირში გაწევრების „შესანიშნავი პერსპექტივის" ღია კარებს ამტვრევს, ისევ ძაღლივით იღრინება და გულუბრყვილო მხარდამჭერებს ატყუებს...**

**ალეკო ასლანიშვილი**

## სალომე სამადაშვილი გაქნილი პროვოკატორი და აშკარა მოძალადეა!



**ჩვენი ამოცანა არის ოლიგარქიული რეჟიმის ჩამოშლა ქვეყანაში. მინდა, ყველას ესმოდეს, რომ ვიდრე ბიძინა ივანიშვილი არაფორმალურად მართავს ამ ქვეყანას, ჩვენს ქვეყანას არანაირი პროგრესი არ ექნება და საქართველო აღმოჩნდება ერთხელ და სამუდამოდ რუსეთის გავლენის ქვეშ...**

ქართველმა ხალხმა ივანიშვილს საკუთარი ქვეყანა არ უნდა დაუთმოს.

გუშინდელი აქციის დაწყების წინ პირწავარდნილმა მოძალადემ გამომწვევად დასძინა:

**„იმედი მაქვს, რომ დღეს ბევრი მოქალაქე მოვა ამის სათქმელად და გაგრძელდება ზეწოლა ხელისუფლებაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარედან ჩვენი მეგობრების მხრიდან, ვიდრე ჩვენ არ მივაღწევთ მთავარ ამოცანას, რაც არის ივანიშვილის მმართველობისგან ჩვენი ქვეყნის გათავისუფლება, დეოლიგარქიზაცია. რაც შეეხება დეპოლარიზაციას, სწორედ დეოლიგარქიზაცია და დეპოლარიზაცია, ორივე ამოცანა განხორციელდება ეროვნული თანხმობის მინისტრთა კაბინეტის დასახელებით და მხარდაჭერით ყველა პოლიტიკური ძალის მხრიდან"...**

# „ქართული ოცნებისგან“ განდგომილები თუ პარტიული ემისრები?




**მედიის ყურადღების ქვეშ ახალი პოლიტიკური საკითხი მოექცა, რაც რამდენიმე დღეა, აქტუალობას არ კარგავს. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში განიხილება თემა, რატომ გამოეყო „ქართულ ოცნებას“ სამი დეპუტატი? — ეს საქართველოს ხელისუფლების მორიგი სვლაა, თუ მმართველ ძალაში ჭეშმარიტად არსებობს ისეთი აზრთა აცდენა, რომ „ქართული ოცნების“ გუნდში გარკვეული დაპირისპირება დაიწყო? — ამაზე პასუხი აქაც არაერთია.**

ოპოზიციაში მიიჩნევენ, რომ **სოზარ სუბარი, მიხეილ ყაველაშვილი** და **დიმიტრი ხუნდაძე** საუბრობენ იმის შესახებ, რაზეც „ქართული ოცნება“ ღიად და დაუფარავად ვერ ლაპარაკობს. მარტივად რომ ვთქვათ, ანტიდასავლურ განცხადებებს გააკეთებენ და ხელს შეუწყობენ ქვეყანაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას. შესაძლოა, სწორედ, ეს იგულისხმა პარტიის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ**, როდესაც თქვა, რომ „ყველაფერს ფარდას ახდიან“.

თუმცა, მმართველ პოლიტიკურ პარტიაში ოპოზიციის ბრალდებებს უარყოფენ და ამბობენ, რომ არანაირ ანტიევროპულ და ანტიდასავლურ პროცესებზე საუბარი არ ყოფილა, არც მათი ყოფილი კოლეგები და არც თავად ამ საკითხს არ განიხილავენ.

ფილოსოფოსი **ზაზა ფირალიშვილი** არ გამორიცხავს, რომ „ქართული ოცნების“ ყოფილმა დეპუტატებმა პროცესი სწორედ ანტიდასავლური განწყობების გაღვივებისკენ წაიყვანონ.

მისი თქმით, მთავარი პრობლემა ქვეყნისთვის ის არის, რომ ორივე, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც შეცდომებს უშვებს.

**„ის, რომ დასტურდება ასეთი ცუდი ეჭვი, თავისთავად ძალიან ცუდია ჩვენთვის, თორემ ადამიანები მზად არიან ასეთი ნაბიჯები გადადგან. ალბათ, ისევ დაიწყებენ ომის დაწყების სცენარზე საუბარს, „ომი გინდათ?!“ და ა.შ. სამწუხაროდ, ოპოზიცია ვერ სარგებლობს ავტორიტეტით, რომ შეძლოს ამ ყველაფრით სარგებლობა. ჩვენი ტრაგედია არა მხოლოდ მსგავსი მთავრობაა, რომელიც ძალიან უხეშ შეცდომებს უშვებს საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე გვყავს ოპოზიცია, რომელიც უმწეოა და ვერანაირი სტრატეგია ვერ შეიმუშავა ხელისუფლების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, თუკი ქართველმა საზოგადოებამ არ მოძებნა ის ინსტრუმენტები, რომლითაც ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენას შეძლებს და მის იძულებას, კიდევ უფრო დავშორდებით ევროპას“,** — განაცხადა ზაზა ფირალიშვილმა.

ანალიტიკოსი **ნიკოლოზ მეტრეველი** ამას არათუ ანტიევროპული განწყობების გაღვივებას, ევროპარლამენტარების მხილებას უწოდებს. მისი შეფასებით, სულ მალე შეიძლება საზოგადოების უმეტესობას აღარ ჰქონდეს სურვილი ევროკავშირში გაწევრების.

**„ეს არ არის ანტიდასავლური კამპანია, არამედ კონკრეტული ადამიანების მხილებაა. კუბილიუსი ან სხვა ევროპარლამენტარი, რომელიც უსინდისოდ აკრიტიკებენ და საქართველოში დესტაბილიზაციით არიან დაინტერესებული, ამ ხალხის კრიტიკა არ არის ანტიდასავლური მოქმედება. ანტიდასავლურია იმათი მოქმედება, ვინც აღვივებს ხალხში ძალიან დიდ წყენას ევროპის მიმართ. ძალიან მაშფოთებს ის, რომ სულ მალე შეიძლება საზოგადოების უმეტესობას აღარ ჰქონდეს სურვილი ევროკავშირში გაწევრების. ამის ფონზე, სწორია, საზოგადოება იყოს ინფორმირებული ყველაფრის შესახებ, რის სანაცვლოდ ითხოვს ამას დასავლეთი. „ქართული ოცნება“ აკეთებს ყველაფერს, რათა ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდეს“,** — განაცხადა ნიკოლოზ მეტრეველმა.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **მამუკა მდინარაძემ** განაცხადა, დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ ე.წ. კულისებიდან პოლიტიკური ფაქტებისა და მოვლენების შესახებ მეტი ინფორმაცია უნდა ვრცელდებოდეს და ამის გახმოვანებისთვის თავისუფალი საპარლამენტო მანდატი სჭირდებათ, რადგან გუნდის შიგნით შესაძლოა, უხერხულობები შექმნან.

**„მიწევს, გაცნობოთ ერთი არაორდინარული გადაწყვეტილების შესახებ: ჩვენი გუნდის ღირსეული წევრები და მეგობრები სოზარ სუბარი, მიხეილ ყაველაშვილი და დიმიტრი ხუნდაძე ტოვებენ ფრაქცია „ქართულ ოცნებას“, პარტიას, საპარლამენტო თანამდებობებს. ამის მიზეზი გახდა ერთი შეუთანხმებელი საკითხი დღევანდელ უმრავლესობის სხდომაზე, რასთან დაკავშირებითაც მანამდეც მიდიოდა პარტიაში დისკუსია, რომ დოზირება ინფორმაციისა, რაც ხდება პოლიტიკურ თემებთან მიმართებით ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს გუნდში არ არის საკმარისი იმისთვის, რომ საზოგადოება საქმის კურსში იყოს და სწორი დასკვნები გააკეთოს, მათი აზრით. მათ მიაჩნიათ, რომ ე.წ. კულისებიდან პოლიტიკური ფაქტებისა და მოვლენების შესახებ მეტი ინფორმაცია უნდა ვრცელდებოდეს.**

**ამასთან დაკავშირებით იყო კამათი, დისკუსია და მათ გადაწყვიტეს, რომ ამის გახმოვანებისთვის მათ სჭირდებათ თავისუფალი საპარლამენტო მანდატი. გუნდის შიგნით შესაძლებელია, გარკვეული უხერხულობები შექმნან ამ მიმართულებით, აქედან გამომდინარე ეს გადაწყვეტილება მიიღეს, გუნდი ამ გადაწყვეტილებას მხარს არ უჭერდა, თუმცა, მათი გადაწყვეტილება საბოლოოა“,** — აღნიშნა მდინარაძემ და დასძინა, რომ ისინი საპარლამენტო მანდატებს ინარჩუნებენ.



# ოპოზიცია, სავარაუდოდ, მალე დაიშლება!

## არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური კრიზისი არ არის ქვეყანაში და რატომ უნდა ვეძებოთ გამოსავალი კოალიციურ მთავრობაში?!

**ოპოზიციურ სპექტრში კიდევ ერთი მოსაზრება გაჩნდა: იმის ფონზე, როდესაც მომავალი 6 თვის განმავლობაში, საქართველომ ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაცია უნდა შეასრულოს, ოპოზიციური პარტიების ნაწილი კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე ალაპარაკდნენ. სწორედ ეს ნაწილი მიიჩნევს, რომ თუკი გვსურს, ევროკომისიის მოთხოვნები შევასრულოთ, სადაც ერთ-ერთი საკითხი დეპოლარიზაციაა, მნიშვნელოვანია „ქართული ოცნების“ მხრიდან ეს ნაბიჯი გადაიდგას.**

ფაქტია, კოალიციის შექმნა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ვერ მოხერხდება, რადგან ეს დამატებით, არა თუ პოლარიზაციის ხარისხს შეამცირებს, არამედ გაზრდის. თუმცა, იმასაც ვხედავთ, რომ სხვა უფრო კონკრეტულუნარიანი პოლიტიკური პარტია თუ საინტერესო პოლიტიკური ფიგურა ასპარეზზე არ ჩანს.

რაც შეეხება მესამე ძალას, რომელსაც ქართველი ამომრჩეველი რეალურად უკვე წლებია, ელოდება, არ ჩანს. შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე კიდევ ორი წელია და ვიმედოვნებთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში გამოჩნდება სასურველი ძალა და საზოგადოებასაც არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის აღარ მოუწევს.

ასევე ვიმედოვნებთ, რომ წლის ბოლომდე ჩვენს მიერ ევროკომისიის რეკომენდაციებიც შესრულდება და საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს მიიღებს. დღეს იმდენი „ვიმედოვნებთ“ არსებობს უკვე, რთულია, რაიმე ოპტიმიზმის საფუძველი ჰქონდეს ადამიანს...

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** კოალიციური მთავრობის ფორმირების აუცილეობლობას ვერ ხედავს და ამბობს, რომ დღეს შესაძლოა, „ქართული ოცნების“ მიმართ დიდი სიმპათია არ არსებობდეს, თუმცა, უფრო მეტი ანტიპათია „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ არის.

**გამოსავლის ძებნა რამდენად აუცილებელია, ძნელი სათქმელია. ერთი მხრივ, პარლამენტში გადაწყვეტილების მიღება გართულებული რომ იყოს, მეორე მხრივ, საზოგადოება იყოს ძალიან აქტიურად ჩაბმული ამ დაპირისპირებაში ორივე მხარეს, მაშინ გვექნებოდა პოლიტიკური კრიზისის ნიშნები. არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური კრიზისი არ არის ქვეყანაში და რატომ უნდა ვეძებოთ გამოსავალი, მით უმეტეს კოალიციურ მთავრობაში?!**

**მოსახლეობამ „ქართულ ოცნებას“ მისცა მთავრობის დაკომპლექტების მანდატი. მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ რაიმე მიზეზით უკან რომ დაიხიოს და პორტფელების ნაწილი მისცეს „ნაციონალურ მოძრაობას“ ეს მოსახლეობა არ იტყვის, ჩემი უფლებები შეილახაო? თვითონ მოსახლეობაში უკმაყოფილება არ გაჩნდება? შეიძლება არ იყოს სიმპათია „ქართული ოცნების“ მიმართ, მაგრამ უფრო მეტი ანტიპათიაა „ნაციონალების“ მიმართ.**

**მესამე — თუ ვინმე გამოჩნდება, დიდი შანსია, რომ ის აღმოჩნდეს წარმატებული, რადგან მოსახლეობას უკვე დიდი ხანია, მით უმეტეს, 2024 წლისთვის, არც ერთი უნდა და არც მეორე“,** — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ კოალიციის შექმნის შესაძლებლობა დღეს არ არსებობს. როგორც მან აღნიშნა, ამ ეტაპზე ვხედავთ, „ქართული ოცნება“ რაიმე დათმობაზე წასვლას არ გეგმავს.

**„რასაც ვუყურებ, „ქართული ოცნება“ საერთოდ არ ფიქრობს კოალიციის შექმნას და რატომ უნდა შექმნას ეს კოალიცია? ან როგორ უნდა გახადო იძულებული, რომ შექმნას კოალიცია? „ქართულ ოცნებას“ აქვს 81 მანდატი, რაც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მთავრობის ფორმირება მოახდინოს. ბევრი თემაა და დღეს იმის პროგნოზირება, რომ „ქართული ოცნება“ რაღაც დათმობებზე წავა, ჯერჯერობით ვერ ვხედავ.**

**ერთი რამის თქმა დაბეჯითებით შეიძლება, ოპოზიციური ელექტორატი დღეს არის საკმაოდ დიდი და ძლიერი, ოღონდ ეს ოპოზიციური ელექტორატი არ არის ერთიანი. ამ ოპოზიციური ელექტორატის თითქმის ნახევარი დაპირისპირებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია, როგორ წარმართავს ოპოზიცია თავის საქმიანობას. შეიძლება მან შეძლოს ამ ელექტორატის გაერთიანება, ან შეიძლება მოხდეს პირიქით — ოპოზიციური ელექტორატი საერთოდ დაშალოს“,** — განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

ექსპერტმა **თორნიკე შარაშენიძემ** ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში საუბრის დროს აღნიშნა, რომ არსებული ვითარებიდან გამოსავალი კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებაშია. როგორც შარაშენიძემ თქვა, „ქართულ ოცნებას“ მესამე ვადით ხელისუფლების შენარჩუნება გაუჭირდება.

**„აღარავის სჯერა, რომ „ქართული ოცნება“ არ აკონტროლებს რაღაც დოზით მაინც სასამართლო სისტემას. აქ გამოსავალი იქნებოდა კოალიციური ხელისუფლება, რომ ლეგიტიმაცია შეიძინონ, რადგან მესამე ვადით, ძალიან მძიმეა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის დარჩენა. მიუხედავად იმისა, რომ პარტია „ქართულ ოცნებას“ აქვს სხვებზე მაღალი რეიტინგი, ამავე დროს მოსახლეობაში არსებობს ძალიან დიდი მასა, რომელსაც არც „ოცნება“ მოსწონს და არც სხვა ვინმე. როდესაც 30%-იანი პარტია მესამე ვადით მოდის ხელისუფლება, უკვე პრობლემაა. ამიტომაც კარგი იქნებოდა კოალიცია ვიღაცასთან, რაღაც ფორმით“,** — განაცხადა თორნიკე შარაშენიძემ.

**ნიკო ჩოხელი**

**პროფესორი არჩილ ხომასურიძე – „პროფ. ჟორდანიას და პროფ. ხომასურიძის რეპოდუქტოლოგიის ინსტიტუტის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი;**

**ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი;**

**საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი;**

**ადამიანის რეპროდუქციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.**

**თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე პროფესორმა არჩილ ხომასურიძემ ათიათასობით უშვილო ოჯახი გააბედნიერა.**



# უშვილო მრავალშვილიანი

**2022 წლის 18 ივნისს მისი იუბილე საზეიმოდ აღინიშნა სასტუმრო „თბილისი მერიოტში“. ღონისძიება ორგანიზებული იყო „პროფ. ჟორდანიას და პროფ. ხომასურიძის რეპოდუქტოლოგიის ინსტიტუტის“ და საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის მიერ. 200-ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა საიუბილეო საღამოს – საზოგადოების და მედიცინის დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მეცნიერები, რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის წამყვანი სპეციალისტები, ჟურნალისტები.**

ღონისძიების მოდერატორები იყვნენ პროფ. ჯენარო ქრისტესაშვილი და ლალი ფხალაძე. „პროფ. ჟორდანიას და პროფ. ხომასურიძის რეპოდუქტოლოგიის ინსტიტუტის“ სახელით ინსტიტუტის კლინიკურმა დირექტორმა ლალი ფხალაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის. მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. არჩილ ხომასურიძის მოწაფეები – ნატალია ხონელიძე და რამაზ ჩარექიშვილი.

* * *

გადაუჭარბებლად შეიძლება თქმა, რომ პროფ. არჩილ ხომასურიძე არის ეპოქალური ადამიანი, რადგან მან, რეპროდუქტოლოგიის ეპოქა შექმნა საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში. ის არის ინოვაციური სამედიცინო დარგის – რეპროდუქტოლოგიის დამაარსებელი, დარგისა, რომელიც, მეანობა-გინეკოლოგიისაგან განსხვავებით, სწავლობს ერთობლივად ქალისა და მამაკაცის რეპროდუქციულ ფუნქციას და დარღვევებს. საქართველო არის პირველი ქვეყანა, სადაც რეპროდუქტოლოგია ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი სამედიცინო დისციპლინა და ეს მოხდა სწორედ პროფესორ არჩილ ხომასურიძის ძალისხმევით.

ყველაფერი კი დაიწყო 1958 წელს, როდესაც პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ თბილისში დააარსა ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტი, რაც იყო მსოფლიოში უშვილობის პირველი კლინიკა. ამ ფაქტით, ჟორდანიამ 30 წლით გაუსწრო თავის ეპოქას. ბატონი არჩილი ხშირად ამბობს, რომ რეპროდუქტოლოგიის დაარსების იდეა ეკუთვნის პროფესორ ჟორდანიას, რომელმაც ვერ მოასწრო მისი განხორციელება, რადგან დაიღუპა ავიაკატასტროფაში. ყველასთვის ცნობილია ჟორდანიას გმირობის ისტორია: თუ როგორ დაუთმო მან თავისი მაშველი რგოლი უბილეთო ბრაზილიელ გოგონას და გმირობის შარავანდედით შეიმოსა. შეიძლება თქმა, რომ პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ სიცოცხლეც და სიკვდილიც დედათა და ბავშვთა კეთილდღეობას მიუძღვნა. არჩილ ხომასურიძემ თანამოაზრეებთან ერთად, ბოლომდე მიიყვანა იოსებ ჟორდანიას ჩანაფიქრი. ამიტომაც არის ეს ორი სახელი განუყოფელი და თავისთავად გამოვიდა ისე, რომ დღეს ჩვენს კლინიკას ჰქვია „პროფ. ჟორდანიას და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი“. ეს ძალიან ლოგიკურია, რადგან სწორედ აქ გრძელდება ძველი ჟორდანიას ინსტიტუტის ტრადიციები და იდეოლოგია.




ძველი ჟორდანიას ინსტიტუტი, რომელიც ვერაზე, ფილარმონიასთან, კოსტავას 43 -ში მდებარეობდა, გახდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის და მსოფლიო მედიცინის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომლის მიღწევები იმსახურებდა და იმსახურებს ღირსეულ შეფასებას საზოგადოების მხრიდან. ინსტიტუტს იოსებ ჟორდანიას ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ პროფ ჯემალ ციციშვილი ხელმძღვანელობდა, რომელმაც ასევე დიდი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში. შემდეგი დირექტორი იყო თენგიზ მესხი, ხოლო 1985 წლიდან – პროფესორი არჩილ ხომასურიძე.

## რეპროდუქტოლოგიის დამაარსებელი საქართველოში, პროფესორი არჩილ ხომასურიძე 80 წლისაა!

ჟორდანიას ინსტიტუტი იყო ყოველთვის პირველი ინოვაციების დანერგვით. აქ დაარსდა საქართველოში ანდროლოგიის, ჰორმონული დიაგნოსტიკის, ექსპერიმენტული ენდოკრინოლოგიის, სამედიცინო გენეტიკის, ემბრიოლოგიის პირველი ლაბორატორიები, გინეკოლოგური ენდოკრინოლოგიის, ანდროლოგიის (სტაციონარი და ამბულატორია), უშვილობის თერაპიის, ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიის, სექსოლოგიის პირველი კლინიკური განყოფილებები.

ახალგაზრდა არჩილ ხომასურიძემ, ჟორდანიას ინსტიტიტის სათავეში ჩადგომისთანავე, უმაღლეს რანგში აიყვანა დაწესებულების მოღვაწეობა და სულ სხვა მასშტაბები შესძინა.

**1986 წლიდან ჟორდანიას ინსტიტუტი გახდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სათანამშრომლო ცენტრი, წლების განმავლობაში იყო მოთავე ინსტიტუტი საბჭოთა კავშირში, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყანაში სტრატეგიულ მიმართულებებს გინეკოლოგიისა და რეპროდუქტოლოგიის განხრით და გასცემდა რეკომენდაციებს.**

**ძალიან დიდია ჩამონათვალი, თუ რა გაკეთდა ჟორდანიას ინსტიტუტში პროფ. არჩილ ხომასურიძის ხელმძღვანელობით. პირველ რიგში, ეს არის ქალისა და მამაკაცის უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. დღეს გადაუმეტებლად შეიძლება თქმა, რომ საქართველოში ამ მხრივ კეთდება ყველაფერი ის, რაც ლონდონში, პარიზში და ნიუ-იორკში. პირველი ინ-ვიტრო ბავშვი ამიერკავკასიაში დაიბადა 2000 წელს სწორედ ჟორდანიას ინსტიტუტში ბატონ არჩილის დამსახურებით. პირველი ლაპაროსკოპია ჩატარდა 1986 წელს ისევ ჟორდანიას ინსტიტუტში პროფ. ხომასურიძის ძალისხმევით. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ის არის საქართველოში ინ-ვიტრო განაყოფიერებისა და ლაპაროსკოპიის დამაარსებელი.**

**საქართველოში საშვილოსნოს ყელისა და სარძევე ჯირკვლის სკრინინგის განხორციელება დაიწყო სწორედ ჟორდანიას ინსტიტუტში 1993 წ. პროფ არჩილ ხომასურიძის თაოსნობით; მანამდე იყო ქალის ჰიგიენა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.**

ქვეყნისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ხელოვნურ აბორტებთან ბრძოლა, რაც იყო პროფ. არჩილ ხომასურიძის მთავარი სამიზნე საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ეს მან მოახერხა კონტრაცეპციის დანერგვით. ჟორდანიას ინსტიტუტში 1986 წ. დაარსდა კონტრაცეპციის განყოფილება. დღეს აბორტი საქართველოში დამარცხებულია. 80-იანი წლებიდან ხელოვნური აბორტების მაჩვენებელი 300 000-დან 15 000 - მდე შემცირდა, რაშიც ლომის წილი აქვს სწორედ პროფ. არჩილ ხომასურიძეს ძველი ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად. ყოველივე ამან, უშვილობის მკურნალობასთან ერთად, კარდინალური როლი ითამაშა დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებაში. ჩვენი ექიმების წყალობით, უშვილო ოჯახებში ათასობით ბავშვი იბადებოდა და იბადება, რაც გაცილებით აღემატება კოვიდპანდემიის დროს ექიმების მიერ გადარჩენილ სოცოცხლეს.

ძალიან სამწუხაროა, რომ მიუხედვად ამ მიღწევებისა, 2011 წელს მაშინდელმა მთავრობამ ინსტიტუტი აუქციონზე გაყიდა, თანამშრომლებს ისტორიული შენობა დაატოვებინეს, რამაც პრაქტიკულად ხელი შეუწყო ჟორდანიას კლასიკური ინსტიტუტის დანგრევას, და ეს მოხდა ჩვენი ქვეყნის უმძიმეს დემოგრაფიულ პირობებში, როდესაც ქვეყანას ემუქრება დეპოპულაცია და ხსენებულ ვითარებაზე ზემოქმედების ერთადერთი საშუალება გახლავთ სწორედ უშვილობის მკურნალობა. ამიტომ ძველი ჟორდანიას ინსტიტუტის რამდენიმე ენთუზიასტის და ბ-ნი არჩილის ძალისხმევით აღდგენილ იქნა ძველი ტრადიციების მქონე ახალი ჟორდანიას ინსტიტუტი, რომელიც მუშაობს ახალ მისამართზე (თევდორე მღვდლის, 13) და განაგრძობს ქვეყნის კეთილდღეობისთვის უანგარო ბრძოლას.

**ჟორდანიას ინსტიტუტმა და არჩილ ხომასურიძემ ძალიან ბევრ ახალგაზრდას გაუკაფა გზა ცხოვრებაში. დღეს მისი მოწაფეები არიან ძალიან წარმატებული ადამიანები. ბატონი არჩილისთვის პრიორიტეტი იყო და რჩება მომავალი თაობების აღზრდა. „პროფ. ჟორდანიას და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი“ არის ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის კლინიკური ბაზა, სადაც 2015 წლიდან ხორციელდება სარეზიდენტო პროგრამა „რეპ-**



**როდუქტოლოგიაში“. პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი გახლავთ პროფ. ხომასურიძე. ის გამორჩეული სიყვარულით, უდიდესი პასუხისმგებლობით და განსაკუთრებული სიმკაცრით ეპყრობა თითოეულ სტუდენტს, რეზიდენტს, ახალგაზრდა ექიმს. მთელი გულითა და უშრეტი ენერგიით ცდილობს, გადასცეს თავისი ცოდნა და გამოცდილება.**

არჩილ ხომასურიძე ხშირად აღნიშნავს, რომ ყველაზე კეთილშობილური ადამიანური თვისება სიკეთის კეთებაა, ხოლო ყველაზე ცუდი – ღალატი და უმადურობა, ამიტომ განსაკუთრებულ ტკივილს აყენებს ის ფაქტი, როდესაც მისი მოწაფეები ხშირად არ გამოხატავენ მადლიერებას თავიანთი „ალმა მატერის“ მიმართ. ბატონმა არჩილმა ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვას, თუ რას შესთხოვდით დღეს უფალს მის წინაშე რომ წარსდგეთო, ასე უპასუხა: ცოდვების მიტევებას, ჩემი ქვეყნის ბედნიერებას, მშვიდობას მთელს მსოფლიოში და რეპროდუქტოლოგიისა და ჩემი ინსტუტუტის კეთილდღეობასო. ეს იყო გულწრფელი ნათქვამი, რადგან რეპროდუქტოლოგია არის მისი პირმშო, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდება. მისი ინსტიტუტი კი დღეს აგრძელებს ძველი ჟორდანიას ინსტიტუტის იდეოლოგიას, სკოლას და ტრადიციებს.

ბატონი არჩილი არის მაგალითი უდიდესი შრომისმოყვარეობის, სიმტკიცის, საქმის ერთგულების და პროფესიონალიზმის, რისთვისაც გამოვხატავთ უდიდეს მადლიერებას და პატივისცემას მის მიმართ. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, უშრეტ ენერგიას რეპროდუქტოლოგიისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ! სიცოცხლე არასდროს მთავრდება, რადგან მის სადარაჯოზე თქვენნაირი ადამიანები დგანან. ღმერთს ებარებოდეთ!

P. S. არჩილ ხომასურიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება ახალი წიგნი „ჩემი გზა“, რომელიც ახლახან გამოიცა და ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს პროფესორის უიშვიათესი სიტყვები – „ქრისტიანობის ჩემეული გამოხატულება სიკეთის კეთებაა“!

**სიყვარულით**

**„პროფ. ჟორდანიას და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის“ თანამშრომლები და ექიმი-რეზიდენტები.**

(მეორე გვერდიდან)

ასე იცის, როცა განათლება, ძირითადად, ინგლისურის სწავლით შემოიფარგლება!

ათი დღით ადრე, 9 ივნისს ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო სახელწოდებით: **„საქართველოში სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების დარღვევა“**, რომელშიც აბსოლუტურად უადგილოდ **ივანიშვილის** წინააღმდეგ სანქციების დაწესების მოთხოვნაც ჩააკვეხა (308 დეპუტატიდან, ვინც რეზოლუციას დაუჭირა მხარი, 186 სახალხო პარტიის დეპუტატია, იმ პარტიის, რომელიც სააკაშვილის ნაცმოძრაობასთან არის გადასკვნილი).

ამ რეზოლუციას ბევრი გამოეხმაურა ჩვენი ხელისუფლებიდან და, პირველ რიგში, პრემიერი ღარიბაშვილი იყო, რომელმაც, სავსებით სამართლიანად აღშფოთებულმა საქართველოსთვის და ივანიშვილისთვის წაყენებული ცილისმწამებლური ბრალდებების გამო, გაბედა და ბევრი სიმართლე გააჟღერა ევროპარლამენტის მისამართით, ცხადია, ევროკომისიის და ევროსაბჭოს, ანუ მთლიანად ევროკავშირის გასაგონად და, კიდევ ბევრის თქმას, **„ფარდის ახდასაც“** დაგვპირდა, რასაც შანტაჟის ელფერი დაკრავდა! ამით მან გული მოგვფხანა ყველას, რადგანაც კოლექტიურმა დასავლეთმა (ამერიკაევროპამ) ისე დაგვაჩაჩანაკა თითქმის ყველანი, უპირველესად კი ამ დასავლეთს მიჩერებული ჩვენი ხელისუფლება, რომ საკუთარი თავის დასაცავად 100%-იანი სიმართლის თქმისაც კი გვეშინია.

სიმართლის მთქმელს დიდი გამბედაობა რომ მართებს, ეს ოდითგან ცნობილია, მით უფრო მაშინ, როცა პრემიერს არც შეკაზმული ცხენი ჰყავს გამზადებული და არც გაქცევას აპირებს არსად! მაგრამ, მარტო გულის მოფხანა, მარტო ცარიელი, თუნდაც, ცამდე მართალი სიტყვა, თუ მას საქმე არ მოჰყვა, ფუჭია, „ჰაერი შეაზანზარაო“, – იტყვიან ასეთ შემთხვევებზე.

ადამიანურად გასაგებია, რომ პრემიერს ისევე, როგორც ყველა ჩვენგანს, ყელში ამოუვიდა **დასავლეთის მხრიდან გამოჩენილი უმადურობა** – მათი (და, არა საქართველოს!) ინტერესებისთვის ერაყში, ავღანეთსა და ცენტრალურ აფრიკაში დაღვრილი ჩვენი ბიჭების სისხლის, გაღებული მსხვერპლის (35 დაღუპულის და 500-მდე დაინვალიდებულის) არდაფასება, სადაც სამხედრო ოპერაციებში ერთი ციცქნა, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი საქართველოდან უფრო მეტი სამხედრო მონაწილეობდა (მოსახლეობაზე გადაანგარიშებით), ვიდრე ნატოს წევრი სახელმწიფოებიდან (აშშ-ის ჩათვლით!), თანაც, არა „ნატოს“, არამედ ჩვენი ბიუჯეტიდან დაფინანსებული. ძნელი ასატანია, რა თქმა უნდა, ჩვენ შინაურ საქმეებში (ყველა სფეროში, არჩევნების ჩათვლით!) გამუდმებით და აშკარად ცხვირის ჩაყოფა ამერიკის ელჩის (განსაკუთრებით!) თუ ევროწარმომადგენლების (განსაკუთრებით, სახალხო პარტიის) მხრიდან, მათგან წამოსული დაუმსახურებელი თითის ქნევა-მუქარა. ამიტომ, წლების განმავლობაში დაგროვილ წყენას, ევრორეზოლუციით დაგვირგვინებულს, არ შეიძლება, ერთხელაც რომ არ ამოეხეთქა!

სიმართლის თქმა აუცილებელია, ოღონდ დროს და ფორმას გააჩნია – უნდა ითქვას თავის დროზე („ზოგჯერ, თქმითაც დაშავდების“!) და, – შესაფერი ენით („გველსა ხვრელით გამოიყვანს...“!), მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რისი თქმის უფლებაც ჟურნალისტს ან ნებისმიერ მოქალაქეს აქვს, სახელმწიფოს პირველ პირებს – არა აქვთ, ისინი არ შეიძლება ემოციებს აყვნენ და სრული სიმართლეც კი საჯაროდ მიახალონ პირში იმათ (ამერიკა იქნება ეს თუ ევროკავშირი), ვისზედაც დამოკიდებული ხარ ფინანსურად, პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისითაც!

**გაბუტვის და შანტაჟის ენით ლაპარაკის (!) ნაცვლად სწორი და გამართლებული იქნებოდა, თუკი ჩვენი პარლამენტი დიპლომატიური ენით დაწერილ და იურიდიულად გამართულ წერილს (!) გაუგზავნიდა ევროპარლამენტს განმარტების თხოვნით, თუ რას – რომელ წყაროს ან მონაცემებს ეყრდნობოდა მათი რეზოლუცია, ვისგან ჰქონდათ იგი მიღებული და თუ მოხდა რეზოლუციაში მოყვანილი ფაქტების მიუკერძოებელი გადამოწმება.** გარდა ამისა, ხაზი უნდა გასმოდა იმას, რომ ევროპარლამენტი შეცდომაში იქნა შეყვანილი საქართველოს მმართველი პარტიის არაკეთილმოსურნე ოპოზიციური ნაცმოძრაობის და მისი განაყოფი პარტიების მიერ და, რომ მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია, თითქმის მთლიანად, სინამდვილეს არ შეესაბამება, ზოგჯერ კი სრული სიცრუეა. ამის მაგალითად, კერძო კლინიკაში კარგა ხნის წინ გადაყვანილი **სააკაშვილის** შემთხვევაზე და ოპერატორ-ჟურნალისტ **ლაშქარავას** ნარკოტიკებით(!) გარდაცვალების ფაქტზედაც იქნებოდა მითითებული (ყველაფერზე დოკუმენტური მასალის თანდართვით, ცხადია) და იმ ევროპულ რეიტინგულ მონაცემებზე, რომლებსაც ყოველთვის ეყრდნობა ხოლმე ევროკავშირი გადაწყვეტილებების მიღების დროს და, რომლებითაც საქართველო ბევრად წინ არის უკრაინაზე და მოლდოვაზე.

რაც არ უნდა მართალი იყო, შანტაჟის ენით საუბარი, მით უფრო, საუბარი იმ სახელმწიფოთა გაერთიანებასთან, ვის რიგებში გაწევრებასაც ითხოვ(!): „კანდიდატის სტატუსი მეკუთვნის და მომანიჭეო“, – უხერხულიცაა და შეცდომაც! „მეორე ფრონტი რომ გამეხსნა, რუსეთთან ომი რომ წამომეწყო, მაშინ ხომ მიმიღებდიო“, – საქმეს არ შველის. უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც „ნატო“ არის სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება, ზუსტად ასევეა ევროკავშირი - ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანება, ოღონდ ანგლო-საქსების ნებას დაქვემდებარებული!

ამავე დროს, დარწმუნებული ვარ, პრემიერის არადიპლომატიურად ნათქვამ ორ სიტყვას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ევროკომისიის გადაწყვეტილებაზე - უკრაინისთვის და მოლდოვასთვის კანდიდატის სტატუსის, ხოლო საქართველოსთვის მხოლოდ **„პერსპექტივის“** მინიჭებაზე, ყველაფერი წინასწარ, ევროპარლამენტის ყველაზე დიდი – სახალხო პარტიის ყრილობაზე გადაწყდა მაისის ბოლოს (შესაძლოა, – უფრო ადრეც). ამ ყრილობაზე საქართველოს მისამართით გაკეთებული განცხადებები ლამის სიტყვასიტყვით შევიდა პარლამენტის რეზოლუციაში, რომლითაც ხელმძღვანელობს ევროკომისიაც და ევროსაბჭოც.

ზუსტად ისევე, როგორც „ნატოსთან“ დაკავშირებით მოგვცეს თავის დროზე **„მაპზე უკეთესი(!)“**, ახლაც კანდიდატის სტატუსზე „უკეთესი“ – **„ევროპული პერსპექტივა“(!)** გვიბოძეს დიდსულოვნად, რომელიც, ვფიქრობ, ყველას გასაკვირვად მაინც უდიდეს წარმატებად შეაფასა კანდიდატობის მომლოდინე და მომთხოვნმა(!) ჩვენმა უთავმოყვარეო ხელისუფლებამ! პოლიტიკოსებისგან არაფერი მიკვირს, ხშირად ხომ ტყუილებით გვკვებავენ, მაგრამ გასაკვირი და საწყენია, როცა აკადემიკოსი, სტუდენტების აღმზრდელი ლექტორი **ლადო პაპავაც** „პერსპექტივის“ მიღებას **„ძალიან დიდ და სერიოზულ მიღწევად“** თვლის! ხედავთ ჩემო ხალხო, სადამდე დავეშვით, გესმით, როგორ დაგვცინიან ევროპაში – „პერსპექტივას“ არ ვიშურებთ თქვენთვისო და, როგორ გვაბოლებენ საკუთარ ქვეყანაშიც – დიდი მიღწევა კი არა, „ძალიან(!) დიდი მიღწევა“ არისო!

რაც მთავარია, აბსოლუტურად არავინ არ გვეუბნება (ვისაც ევალება, იმათგან), თუ რას იძლევა „პერსპექტივა“ ან „კანდიდატობა“ კონკრეტულად ჩვენთვის (წევრობამდე ძალიან შორი გზაა და მას არც ვახსენებ). როგორ შეიძლება ევროკავშირის კითხვარს – 369(!) კითხვაზე პასუხს „ვცემდეთ“ და არც კითხვარი, არც გაცემული პასუხები არ ქვეყნდებოდეს, არც ის იყოს ცნობილი, თუ ვინ სცემს ამ პასუხებს ხალხის სახელით – ერთი კაცი, ადამიანთა ჯგუფი, რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია თუ – ვინ. ის კი არა, დეპუტატებიც არ არიან საქმის კურსში. რახან ევროკავშირი ჰქვია, ამიტომ ყველაფერზე უნდა დავთანხმდეთ იმისათვის, რომ ეგებ, როგორმე შევრგოთ თავი ამ კავშირში?! თუ ასეა, მაშინ დასამალი რატომღაა ეს კითხვარი და, რაც მთავარია, ჩვენი ხელისუფლების პასუხები?! და, თუ მართლა ასეთი კარგია ეს ევროკავშირი ყველასთვის, მათ შორის, ჩვენისთანა განვითარებადი სახელმწიფოებისთვისაც, მაშინ ის მაინც ხომ უნდა გაგვიმჟღავნონ, თუ რა სარგებელს მივიღებთ მასში გაწევრებისგან, მანამდე კი – კანდიდატობისგან და „პერსპექტივისგან“? რა სიკეთეები გველოდება იმ ერს (კონკრეტულად, ციფრებში გამოხატული და, არა – ზოგადი ფრაზებით), რომელმაც მხოლოდ დასავლეთს მიშტერებული ვერცერთი ხელისუფლების ხელში ვერ შეძლო წელში გამართვა ეკონომიკურად მთელი 30 წლის მანძილზე! რა არის ამაში დასამალი?! ეჭვები მთლიანად რომ გაგვიფანტოთ, ეგებ ისიც გვითხრათ, დიდმა ბრიტანეთმა რატომ დატოვა მისი რიგები და ძველებურად, დამოუკიდებლად არსებობა რატომ არჩია? **ჩვენ რომ მოთხოვნებს გვიყენებენ შესასრულებლად, თავად ევროკავშირი თუ იღებს რაიმე სერიოზულ ვალდებულებას(!) თავის თავზე?..**

**სიმართლე შეიძლება ზოგჯერ არც ითქვას ან გვიან ითქვას, მაგრამ სახელმწიფოს და ხალხის ღირსების შემლახავ ცილისმწამებლურ გამოხდომებზე რეაგირება, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, ყოველთვის პრინციპულად უნდა ხდებოდეს!** მხოლოდ ერთს, ერთი თვის წინანდელს შევახსენებ მკითხველს: ევროპის სახალხო პარტიის ყრილობაზე მიწვეული იყო ნაციონალური მოძრაობაც და მისი ლიდერის, ბევრ დანაშაულში მხილებული, ამჟამად პატიმარი **სააკაშვილის** პატივსაცემად ცარიელი სავარძელიც კი დადგეს (მისი გვარის მითითებით!), როგორც „დემოკრატიის შუქურასი“ და დამსახურებული რეფორმატორის, რომელსაც, მისი პრეზიდენტობის პერიოდში (2003-2012 წლებში), თითქოს არავითარი დანაშაული




# აბსურდის ჭაობში ჩამხრჩვალი ქვეყანა

**ეს სამარცხვინო ლოზუნგიც ამ მოძრაობის ლიდერების – ვინმე დიღმელაშვილის და მაქარაშვილის მოფიქრებული იქნება, რომლებსაც ერთი, მათი პოლიტიკური ჭკუის მქონე და აქციის წამყვანი, მწერლად წოდებული ლაშა ბუღაძეც წაეხმარებოდა უთუოდ!**








# ყელში ამოსული უმადურობა

არ ჩაედინოს საკუთარი ხალხის და ქვეყნის წინაშე, თითქოს არც სისხლიან დარბევებს, არც პატიმრების მასობრივ წამება-გაუპატიურება- ჩახოცვას, არც ათასობით ადამიანის ქონების და ბიზნესის ძალადობრივ დაუფლებას სახელმწიფო სტრუქტურების მაღალჩინოსნების მხრიდან, არც სამჯერ მეტ პატიმრებს ციხეებში (დღევანდელთან შედარებით) და სიკვდილიანობის ჯერადობით მაღალ მაჩვენებელს საპატიმრო ადგილებში და, არც საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვას ჰქონოდეს ადგილი! ეს ყველაფერი (და კიდევ ბევრი სხვა დანაშაული!) ზედმიწევნით კარგად იყო და არის ცნობილი ევროპარლამენტარებისთვის, რომლებიც ყველაფერზე თვალს ხუჭავდნენ (და დღესაც ხუჭავენ!), ოღონდაც დასავლეთის დირექტივები ზედმიწევნით ზუსტად შეესრულებინა მათ „ძაღლიშვილ“ სააკაშვილს. აი, ამის თაობაზე უნდა მოგვეხდინა ადეკვატური რეაქცია და საპროტესტო წერილები(!) დაგვეგზავნა ევროპარლამენტისთვის, ევროკავშირის ელჩისთვის და ტუტუცი სახალხო პარტიისთვის. ეს კი, პირველ რიგში, უნდა გაეკეთებინა ჩვენს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერს და, აგრეთვე, – საზოგადო და სამეცნიერო ორგანიზაციებს, ხელოვნების და სპორტის მუშაკებს! **ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვა მხოლოდ ტელევიზიებში კრიტიკული გამოს-**

> **„ცული მე რას დამაკლებდა, შიგ ჩემი გვარისა რომ არ ერიოსო“**

**ვლებით არ უნდა იფარგლებოდეს, სწორედ ამგვარი შემთხვევებისთვის არის მოფიქრებული შეურაცხყოფის მომყენებელი პიროვნებების „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადება!**

ჩვენი უბედურება ისაა, რომ ევროკავშირს კი არა, უკრაინასაც ვერ გავუბედეთ საკადრისი პასუხი, როცა უამრავი რამ დაგვაბრალეს და ელჩიც კი გაიწვიეს საქართველოდან. ეს არ იყო ერთი პირიდან და ერთჯერადად წამოსული შეურაცხყოფა, ეს გვაკადრა მოძმედ(!) წოდებული უკრაინის პრეზიდენტმაც, საგარეო საქმეთა მინისტრმაც, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემაც, მათმა მრჩევლებმაც და კიდევ ბევრმა სხვამ. ჩვენმა ბედოვლათმა ხელისუფლებამ კი არათუ დიპლომატიაში მიღებული სარკისებური პასუხი ვერ გასცა და, ელჩი არ გამოიწვია კიევიდან, არამედ, პირიქით, მთელი საელჩოს შემადგენლობა განია ომის პირობებში კიევში ჩატოვა მაშინ, როცა ყველა(!) სახელმწიფოს დიპწარმომადგენლობა უკიდურეს დასავლეთში – ქალაქ ლვოვში გადავიდა! კი მაგრამ, რატომ, რისთვის, ვისა აქვს უფლება. ასე უაზროდ გაწიროს თავისი მოქალაქეები სხვის ომში, ამის აუცილებლობა ხომ არ იყო! იქნებ, სხვაზე მამაცები ვართ და ისე გვიყვარს უკრაინა თავის **ზელენსკი-არესტოვიჩ-არახამიანებიანად,** რომ მისთვის თავსაც გავწირავთ?! საკადრისი პასუხი კი არადა, იქით „აგვალოკინეს ჩვენი გადაფურთხებული“ (უკვე მერამდენედ!) და იქით ვეწვიეთ სოლიდარობის გამოსახატავად საპარლამენტო დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარის თავკაცობით, თუმცა წინა დღეებში ბევრს ვბაქივბუქობდით: ბოდიში მოგვიხადოს, ელჩიც დააბრუნონ, თორემ ჩვენი ფეხი არ იქნება იქო! მახსოვს **გოგა ხაინდრავას** სიტყვები: „თუ ზელენსკი, არესტოვიჩი და ძმანი მისნი ფიქრობენ, რომ ქართველი ხალხი ასეთ ცილისწამებას და შეურაცხყოფას გადაყლაპავს, ძალიან ცდებიან“! გადაგვაყლაპეს, ჩაგვიყვანეს და დაგვცინეს კიდეც: სამარიაჟოდ ჩამოვიდნენ, ბუჩაში ფოტოების გადასაღებადო!

ღირსნი ვართ! როდესაც თავმოყვარეობას დაკარგავ, როდესაც ღირსებას სისტემატურად გილახავენ და, შენ საპროტესტო დიპლომატიური ნოტაც კი ვერ გაგიგზავნია ევროკავშირისთვის კი არა, – უკრაინისთვისაც(!), ვერც ელჩი გამოგიწვევია უკან, „პერსონა ნონ გრატადაც“ ვერ გამოგიცხადებია ვერავინ და, გამუდმებით ერთ ვითომ შემრიგებლურ ფრაზას იმეორებ: „მოძმე უკრაინა ომშია, თვალი უნდა დავხუჭოთ ბევრ რამეზე, შეურაცხყოფაც გადავყლაპოთ და მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთო“, მაშინ მეტის ღირსნი ვართ! **მოძმედ და მეგობრად მხოლოდ უკრაინელი ხალხი შეიძლება ჩაითვალოს და არამც და არამც – მისი ხელისუფლება!** უკრაინელ ხალხს ჰუმანიტარული დახმარება უნდა გავუწიოთ და ვუწევთ კიდეც! თუმცა, არც ისეთი „თავის მოქაჩლება“ვარგა, როდესაც საკუთარი ხალხი და ბავშვები გვყავს მშიერი, როდესაც უამრავი მათხოვარია დედაქალაქში (ხშირად შუა გზაზე, მანქანებს შორის მოსიარულე), როდესაც სანაგვე ყუთებში იქექებიან ასაკოვანი ადამიანები, ხოლო შენ, – გაღლეტილი და ერცახე სახელმწიფო კი იმით ტრაბახობ, რომ ყველა სახელმწიფოს აჯობე და ყველაზე მეტი (ამდენი და ამდენი ასეულობით ტონა) ჰუმანიტარული დახმარება გააგზავნე უკრაინაში! ეს უკვე სიბრიყვეა და დაშინებული კაცის საქციელს ჰგავს! ვის სჭირდება ასეთი უჭკუო თავგამოდება საკუთარი ხალხის ხარჯზე, ვის ვაწონებთ ამით თავს! **წელებზე ფეხის დადგმას - ჰუმანიტარულ დახმარებას კი არა, საქართველოს მიერ უშუალოდ მათი ინტერესებისთვის დაღვრილ სისხლს და უამრავ, ყველას რომ „ვაჯობეთ“ იმდენ გაწირულ სიცოცხლეს არ გვიფასებენ დასავლეთში, ჩვენ კი, გზააბნეული ცხვრების ფარასავით მაინც „ნატო, ნატოს და ევროპა, ევროპას“გავყვირით, უფრო სწორად, ვბღავივართ!**

**თუ, ერთიც და მეორეც, განსაკუთრებით კი „ნატო“, ჩვენი ხალხის არჩევანია, მაშინ ერთი რეფერენდუმის ჩატარებას რა უდგას წინ?** დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით 30 წლის წინათ ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ მისი ჩატარება ხომ, პრაქტიკულად, აკრძალული გვაქვს „სტრატეგიული მეგობრების“ მიერ! 2008 წლის პრეზიდენტის არჩევნების გაყალბებას ყველა აღიარებს, მაგრამ მასთან ერთად ჩატარებული პლებისციტის (და არა – რეფერენდუმის!) შედეგებს კი, რატომღაც გაუყალბებლად მიიჩნევენ და დღესაც, 15 წლის შემდეგ ამ პლებისციტს იშველიებენ, თითქოს, „ნატოში“ გაწევრებას საქართველოს მოსახლეობის 77% უჭერდეს მხარს! თუ ეს ასეა, მაშინ რეფერენდუმის ჩატარების რატომ ეშინიათ ჩვენს „კეთილმოსურნეებს? იმიტომ, რომ **პლებისციტი უბრალო საყოველთაო გამოკითხვაა მხოლოდ** და მას იურიდიული ძალა არ გააჩნია, ხოლო **რეფერენდუმის შედეგები კი ხელისუფლებისთვის აღსასრულებლად სავალდებულოა!** აი, ამის ეშინიათ ნაცებსაც და მათ მფარველებსაც დასავლეთში, ქოცები კი ვერ ბედავენ უნებართვოდ. 20 წლის წინანდელი რეფერენდუმი იმდენად არაარსებით და ღიმილისმომგვრელ საკითხთან დაკავშირებით ჩაატარა ედ. შევარდნაძემ, რომ მისი შედეგები 100%-ით წინასწარ იყო ცნობილი. დასმული იყო ასეთი კითხვა: თანახმა ხართ თუ არა, რომ დეპუტატთა რიცხვი 230-დან 150-მდე შემცირდეს? 150-მდე კი არა, დღეს რომ ანალოგიური შეკითხვა დაისვას: 100-მდე ხომ არ დავიყვანოთ დეპუტატების რიცხვიო, დარწმუნებული ვარ, მოსახლეობის 100% დაუჭერს მხარს „ხალხის რჩეულების“ შემცირებას!

თემიდან ცოტაოდენი გადახვევა გამოგვივიდა, ამიტომ მივუბრუნდეთ უკრაინას. როცა ჩვენი ხელისუფლება ღიად აცხადებს: **„ჩვენთან ნაცები ოპოზიციაში არიან, უკრაინაში კი – ხელისუფლებაშიო“** და, მაინც მჭიდროდ თანამშრომლობს, მეგობრობს კიდეც უკრაინის ნაც მთავრობასთან, რომლის წევრებიც ყოველგვარ ზღვარს გადადიან და არჩეული ხელისუფლების დამხობისკენაც კი მოგვიწოდებენ და, ჩვენი ბედოვლათები კი ყველაფერს ყლაპავენ, – **ეს უკვე დანაშაულის ტოლფასი უპრინციპობაც არის და უზნეობაც!**

> **როცა ჩვენი ხელისუფლება ღიად აცხადებს: „ჩვენთან ნაცები ოპოზიციაში არიან, უკრაინაში კი – ხელისუფლებაშიო“ და, მაინც მჭიდროდ თანამშრომლობს, მეგობრობს კიდეც უკრაინის ნაც მთავრობასთან, რომლის წევრებიც ყოველგვარ ზღვარს გადადიან და არჩეული ხელისუფლების დამხობისკენაც კი მოგვიწოდებენ და, ჩვენი ბედოვლათები კი ყველაფერს ყლაპავენ!**



უკრაინიდან წამოსული ლანძღვა-ცილისწამების უპასუხოდ დატოვების, პატიოსნების მიზეზად მისი ომში ყოფნის მოშველიება ფარისევლობა და მამალი ტყუილია, ვინაიდან ჯერ კიდევ ომამდე 7 წლით ადრე, **2015 წელს უკრაინამ წარმოუდგენელი სილა გაგვაწნა,** როდესაც საქართველოდან გაქცეული, ინტერპოლით ძებნილები – სააკაშვილი და მისი დამნაშავე ბანდა არათუ შეიფარა, არამედ მაღალ-მაღალი თანამდებობებიც უბოძა ყველას. ასე მოიქცა უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტი **პოროშენკო** და ამჟამინდელი **ზელენსკიც!** არც ერთ მათგანს არ აუკრძალავს უკრაინის მოქალაქეობამიღებული (საქართველოს მოქალაქეობაზე უარისმთქმელი!) სააკაშვილისთვის უცხო სახელმწიფოს – საქართველოს საქმეებში უხეში ჩარევა, როდესაც იგი სისტემატურად მიტინგებისკენ, ამბოხებისკენ, ძალადობრივი ქმედებებისკენ და საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებდა ქართველ ნაცებს (ამის დამადასტურებელი ხომ უამრავი დოკუმენტური – აუდიო და ვიდეომასალა არსებობს)! ჩვენ ხელისუფლებას მაშინაც არ მიუმართავს ოფიციალური პროტესტისთვის, რაც დანაშაულებრივი უმოქმედობაა!

ქართული ანდაზაა: **„ხემ თქვა, ცული მე რას დამაკლებდა, შიგ ჩემი გვარისა რომ არ ერიოსო“!** აბსოლუტური ჭეშმარიტებაა! ჰოდა, სანამ, პირველ რიგში, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ **კანონს ამოფარებულ „ჩვენი გვარის“ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაბამის კანონს არ დავუპირისპირებთ** (ამერიკაში 1938(!),ხოლო რუსეთში მხოლოდ 2012 წელს მიღებულს – „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“), რათა მათი დაფინანსების და საქმიანობის გაკონტროლება შევძლოთ, სანამ **გვარამია-გაბუნიას, უგულავა-ბოკერიას და სამადაშვილ-კანდელაკისნაირებს** (მათ სიტყვაპასუხს, ხელმრუდობას თუ მსტოვრობას) არ მივხედავთ, სანამ **სააკაშვილის** მოწოდებებს (ამბოხებისკენ და ხელისუფლების დამხობისკენ, გაკეთებულს უცხოეთიდან, ციხის საკნიდან, სასამართლოს დარბაზიდან თუ საავადმყოფოს პალატიდან) დაუსჯელად ვტოვებთ, სანამ მას ქართული სახელმწიფოს და ხალხის წინაშე ჩადენილი უმძიმესი არაერთი(!) დანაშაულისთვის გასამართლების ნაცვლად ე.წ. „პიჯაკების საქმეზე“, ერთი-ორი პირის მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის და საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისთვის ვასამართლებთ მხოლოდ, სანამ ხაზინის ქურდობისთვის ქონების კონფისკაციის და სამშობლოს ღალატის მუხლებს არ აღვადგენთ სისხლის სამართლის კოდექსში, სანამ ნაცმოძრაობას კანონგარეშე არ გამოვაცხადებთ და საკადრისსაც არ მივუზღავთ სახელმწიფო ტერორის დამყარებისთვის 2003-2012 წლებში, სანამ სიმულანტი სააკაშვილის კაპრიზებს უსიტყვოდ ვასრულებთ, უკრაინიდან თუ დასავლეთიდან წამოსულ შეურაცხყოფას, მასხრად აგდებას, საშინაო საქმეებში ელჩების უხეშ ჩარევას ვიტანთ, დაუსაბუთებელ მოთხოვნებს (რუსეთთან მოლაპარაკებებზე უარისთქმა და სხვა) ვასრულებთ, ხოლო ახლო მომავალში, ალბათ, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნასაც შევასრულებთ (ჩვენ ხომ არ ვიცით, რა პასუხები გაიგზავნა ევროკავშირში!), **სანამ იმას არ შევიგნებთ, რომ „ევროპული პერსპექტივის“ ან „ნატოს“ იმედზე ყოფნა და 30 წლის მანძილზე გატარებული საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა დამღუპველია ჩვენთვის (როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ისე ჩვენი საგანგაშო დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის მხრივ), სანამ სახელმწიფოს მართვის სისტემა და ორიენტირი არ შეიცვლება, არაფერი არ გვეშველება!** გვეშველება კი არა, დედა გვეტირება! **ნანატრი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ნაცვლად სულ უთავოდ დაგვტოვებენ ან სულაც უსქესო თავს დაგვადგამენ მხრებზე,** ხალხისთვის თვალის ახელის მცდელობისკენ მიმართული ამ წერილის მსგავსი სტატიების წერასაც ჯერ აგვიკრძალავენ... და მერე, ნაცები თუ დააბრუნეს, „სხვანაირ“ პასუხსაც მოგვთხოვენ უეჭველად!

ამიტომ, დროზეა გადამწყვეტი ნაბიჯები გადასადგმელი, დროზე!..

დრო კი, როგორც ადამიანის სიცოცხლე, სამწუხაროდ, ძალიან სწრაფად გარბის!..



**იაკობ ლეჟავა,**
**28 ივნისი, 2022**

**P.S.** ძვირფასო მკითხველო, რატომღაც ძალიან მომინდა, კიდე:ვ ერთხელ შეგახსენოთ, ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის (პრეზიდენტ კარტერის და სხვა ბევრი პოლიტიკოსის მრჩეველ ზბიგნევ ბჟეზინსკის ჯერ კიდევ 2009 წელს ნათქვამი სიტყვები:

„ეს კრიზისი (იგულისხმება 2008 წლიდან დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. – ი.ლ.) არ დასრულდება არასოდეს, მანამდე, სანამ ჩვენ არ მივაღწევთ ჩვენს მიზნებს. ჩვენი მიზნები კარგადაა ცნობილი. ერთიანი მსოფლიო მთავრობა – აი, რაც ჩვენ გვესაჭიროება. მალე მიხვდებით, რომ ე.წ. კრიზისი ჯერ არც კი დაწყებულა. ეს კრიზისი არ არის, ჩემო ძვირფასებო, ეს მართვადი ქაოსია. საზოგადოება ჯერ ძალიან შორსაა იმისგან, რომ ერთიანი მსოფლიო მთავრობის იდეა მიიღოს. ამიტომ, ჩვენ საზოგადოება უნდა მოვიყვანოთ ამისათვის აუცილებელ მდგომარეობაში. ამისათვის კი, ბაცილებით მეტია საჭირო, ვიდრე ეკონომიკური დამბლა – საჭიროა ომები, შიმშილობა და ეპიდემიები მთელ მსოფლიოში“!

ი. ლ.

# დიდ სიახლეთა კვალდაკვალ რუსთველოლოგიაში



2022 წლის 25 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა **აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის** წერილი **„როგორ გვმართებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მოხსენიება“**. ამ პუბლიკაციით გვეუწყა სიახლეთა რიგი რუსთველოლოგიაში, რომელთაგან ზოგი პირველ სიტყვად გაისმა და ახალ თეორიად იკვეთება მეცნიერებაში, ზოგი უწინ სადავოდ ქცეული საკითხის კიდევ ერთი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა-პასუხია. ძირითადი ხაზი წერილისა ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელდებას, საკუთრივ იმას, თუ როგორ უნდა მოვიხსენიებდეთ ქართველი ერის უპირველეს გენიას: „რუსთველი“, „შოთა რუსთველი“ თუ „შოთა რუსთაველი“.

სადავოდ ქცეული ფორმები „რუსთველი“ და „რუსთაველი“ დღეს თითქოს ერთ გარკვეულ ნორმად ჩამოყალიბდა, ნორმად, რომელიც მიიღო ფართო საზოგადოებამ, მცირე გამონაკლისის გარდა, და ეს გახლავთ **„რუსთაველი“**. ეს ფორმა კომპონენტად ისე მყარადაა ჩამჯდარი მის შემცველ ონომასტიკურ ერთეულებში (რუსთაველის გამზირი, რუსთაველის თეატრი, კინოთეატრი „რუსთაველი“, რუსთაველის პრემია...), რომ ამ ტიპის სინტაგმებში ფორმა „რუსთველი“ ყურს ეუცხოება კიდეც.

1980 წელს აკადემიკოს აკაკი შანიძისა და მისი ავტორიტეტული მომხრეების შეძახილი ფორმა „რუსთველის“ სასარგებლოდ, როგორც ქალბატონი ინესა ბრძანებს, „დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. დღეს მართლაც ასეთი ვითარებაა: საზოგადოებამ თითქოს ხელი ჩაიქნია – რაც არის არის, იყოს რუსთაველიო... და აი, XXI საუკუნის გარიჟრაჟზე აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს პოეტური ტექსტების არქიტექტორი, კვლავ გააცოცხლა ეს მიძინებული თემა, რამეთუ ჩათვალა – აკაკი შანიძის მიერ სწორ ფორმად მიჩნეული რუსთველი კვლავ დაცვას საჭიროებს!

ქალბატონი ინესას ეს სამეცნიერო წერილი აღიქმება არაოდენ დაცვად ან ხელმეორედ დაყენებულ საკითხად, მეტიც, მასში ისმის ავტორის კატეგორიული ტონი: ტრადიციად ქცეული ფორმა **„რუსთაველი“** დაუბრუნდეს თავის ჭეშმარიტ ფორმას **„რუსთველი“**. ეს მიდგომა კი გამყარებულია რკინის ლოგიკითა და ღრმა მეცნიერული ანალიზით.

აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის თქმით, მეტიც, მისი მოწოდებით, ამ საკამათო საკითხის გზამკვლევი ისევ და ისევ პოემის ტექსტია: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისა და ეპილოგის ოთხ ტაეპში ავტორი მხოლოდ **რუსთველად** იწოდებს თავს: „დავჯე, რუსთველმან გავლექსე;“ „მე, რუსთველი ხელობითა“; „მე რუსთველისად ამისა;“ „ტარიელ – მისსა რუსთველსა“ (აქ და შემდგომ დამოწმებულია 1957 წლის გამოცემა).

რაც შეეხება პოეტის საკუთარ სახელს, სტატიის ავტორი შეახსენებს მკითხველს, რომ სახელი „შოთა“, რომელიც საერთოდ არ უხსენებია პოეტს „ვეფხისტყაოსანში“, მკვიდრდება 1629 წლიდან თეიმურაზ I-ის მიერ და თანახმად აკადემიკოს კორნელი კეკელიძისა, სავარაუდოდ, ეფუძნება ნ. ჩოლოყაშვილის მიერ ზეპირგადმოცემულ ცნობას იმის შესახებ, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში კედელზე გამოსახულია მამაკაცის ფრესკა მინიშნებით „შოთა რუსთველი“. მოგვიანებით, XVIII საუკუნეში, მონასტერს ეწვია მღვდელმთავარი ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც გამოაქვეყნა მოგზაურობის შთაბეჭდილებები და ფრესკის გასწვრივ წარწერა ასე გადმოგვცა წერილობით: **„ამისა დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან ამინ შოთა რუსთველი“**. სწორედ ამ ცნობას XX საუკუნეში ეყრდნობიან ცნობილი ქართველი მეცნიერები, როდესაც პოეტის სახელად შოთას ასახელებენ. რაც შეეხება ფორმას „რუსთაველი“ ნაცვლად „რუსთველისა“, XVIII საუკუნის ბოლოს მას საწყისი დაუდო ანტონ I კათალიკოსმა, თანახმად საკუთარი გრამატიკული შეხედულებებისა, თუმც, ეჭვგარეშეა, მასაც მიაჩნდა, რომ პოეტი რუსთავის მკვიდრი იყო. ამ დამოკიდებულების საპირისპიროდ აკადემიკოსმა ი. მერაბიშვილმა წარმოადგინა სრულიად განსხვავებული ვერსია, რაზეც ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელდებასთან დაკავშირებით, აკადემიკოს ი. მერაბიშვილის თანახმად, პირველი დიდი გარღვევა მოხდა მხოლოდ 1960 წელს, როდესაც ჯვრის მონასტერს ეწვია დელეგაცია სამი ქართველი აკადემიკოსის – აკაკი შანიძის, ირაკლი აბაშიძისა და გიორგი წერეთლის შემადგენლობით, და როდესაც მათ ფოტოზე აღბეჭდეს ფრესკის გასწვრივ ასომთავრულით შესრულებული წარწერა, რაც უკვე შემდეგს გვამცნობს: „ამისა დამხატავსა **შოთა(ს)** შეუნდვნეს ღმერთმან ამინ **რუსთველი**“.

და აი, აქ ჩვენი თანამედროვე მეცნიერი ი. მერაბიშვილი ბრძნულ რიტორიკულ კითხვას სვამს: „რატომ მოხდა, რომ ფრესკასთან არსებულ წარწერაზე სახელები „შოთა“ და „რუსთველი“ ერთმანეთისგან დაშორებით აღმოჩნდა განთავსებული, თან განსხვავებული სინტაქსური ფუნქციით?“ ის, რომ ეს არ გამორჩენია ინესა მერაბიშვილის მახვილ თვალს, ნამდვილად არის მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომა რუსთველოლოგიაში. ამავე დროს, მეცნიერი იქვე ასკვნის, რომ ამ ექსპედიციის დროს მოპოვებული ცნობის მიუხედავად, არც „რუსთაველი“ შეცვლილა „რუსთველით“ და არც ის საკითხი დასმულა, თუ რატომაა განთავსებული წარწერაზე სახელები „შოთა“ და „რუსთველი“ ერთმანეთისაგან დაშორებით.

ქალბატონი ინესა მერაბიშვილის ზემოხსენებულ წერილში ანთროპონიმ „შოთას“ ეგზისტენციის საკითხი მხოლოდ დასმულია, მაგრამ საკვლევია, საკვლევია დოკუმენტურად და არა ზეპირსიტყვიერების ფარგლებში.

**მე, პირადად, რომელსაც გამუდმებით ხელში მიჭირავს „ვეფხისტყაოსანი“, ფიქრშიც კი არასოდეს გამიანალიზებია ეს საკითხი. ინესა მერაბიშვილის სტატიამ და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წაკითხულმა მისმა მოხსენებამ, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელეგადაცემით ამ თემაზე შემოთავაზებულმა ისევ მისმა ლექციამ დამაფიქრა, რომ ეს პრინციპული საკითხია და, როგორც ანთროპონიმისტს, ახალი ხედვისაკენ გამიხსნა გზა.**

ნამდვილად სათქმელია ის, რომ თუკი არ დავეთანხმებით ქალბატონი ინესას აზრს, მაშინ ჩვენ უნდა დავადგინოთ ამ ერთიანი წარწერის სხვადასხვა ადგილას განთავსებული ორი ონიმიდან, რომელი რომელს აკონკრეტებს ან მეორე პირველის დანართია თუ არა? იქ, სადაც შოთა მიცემითის პარადიგმითაა წარმოდგენილი (თუნდაც სახელობით ბრუნვაში იყოს), სინტაგმა ანთროპონიმულ ფორმულად მაინც არ იკვრება.

შეუძლებელია, რომ ეს დაინახო („სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია“ – **ი. მ.**) და ამ ხედვამ არ გაგაძლიეროს. ეს ჩანს კიდეც ამ საკითხზე მეცნიერის კვლევის დასკვნით ფრაზაში: „აი, სწორედ ამ ფაქტში დევს ის მყარი გასაღები, რომელსაც შეუძლია სინათლე მოჰფინოს ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხს“. უნდა ითქვას, რომ ეს გასაღები აღმოაჩინა უდიდესი პოეტების შემოქმედებასთან შეჭიდებულმა ტექსტოლოგმა, აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა. იპოვა რა ეს გასაღები, მანვე შეაღო ის იდუმალი კარი, რომლის მიღმა „შოთა“ პოეტის სახელად მეცნიერულად დადასტურებულად ჯერჯერობით ვერ გაიზიარა.

სრულიად საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა, ვიდრე დამკვიდრებულია, ზოგადად, დიდი მეცნიერული გამბედაობაა. თავად ქალბატონი ინესა სამართლიანად უწოდებს გარღვევას 60-იან წლებში სამი აკადემიკოსის მიერ გასაჯაროებულ ფოტოპირს, მაგრამ, ჩემი აზრით, დღევანდელი მდგომარეობით ჩანს, რომ ის იყო გარღვევა, მოპოვებული დოკუმენტით, რომლის ჭეშმარიტების დადგენას სწორი მეცნიერული ხედვა და კვლევა სჭირდებოდა. მიმაჩნია, რომ ეს ფასდაუდებელი დოკუმენტი თავის დროზე სათანადოდ ვერ იქნა გამოყენებული და გაანალიზებული. სწორედ ამას წუხს ინესა მერაბიშვილი: „რატომ იწამეს ფრესკიდან შედარებით საკამათო სახელი „შოთა“, ხოლო ფორმაზე „რუსთველი“ თვალი დახუჭეს და ის ისევ „რუსთაველად“ დაამკვიდრეს?“

**მაგრამ როგორ შეიძლება ეს არ შეენიშნა ენათმეცნიერების ქურუმს აკაკი შანიძეს? – ასე ჟღერს ქალბატონი ინესას მიერ დასმული მეცნიერულად პატიოსანი და აკადემიკოს აკაკი შანიძისადმი ღირსეულად პატივმისაგები რიტორიკული კითხვა. პასუხიც შესაბამისია: „გამყარებული ტრადიციის გამო!“ ქალბატონი ინესას მიერ ასეთი ახსნა ნამდვილად გამოხატავს ქართველი კაცის დიდებულ ბუნებას – ტრადიციისადმი პატივისცემას, რაზედაც ასევე პატივისცემით საუბრობს სტატიის ავტორი, მაგრამ, მეორე მხრივ, ჭეშმარიტების დასადგენად ის კალამმომარჯვებული არღვევს თითქმის ოთხსაუკუნოვან ტრადიციას, რომ „რუსთველს“ ამ წარწერაში გრამატიკულად არ ეთანადება „შოთა“**.

უმნიშვნელოვანესი „საჭოჭმანები“ საკითხი, საკუთრივ ის, რომ ინესა მერაბიშვილმა ანთროპონიმი **„შოთა“** ეჭვქვეშ დააყენა, ბუნებრივია, უეცარ შეცბუნებასთან ერთად წუხილსაც იწვევს, თუნდაც იმიტომ, რომ ირღვევა ქართველი ერის მიერ შესისხლხორცებული გალაკტიონისეული ტაეპი – „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი.“ მაგრამ ჭეშმარიტების დადგენა ხომ ხშირად არასასურველ განცდას ბადებს. მიუხედავად ამისა, ჭეშმარიტება დასადგენია! აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გალაკტიონი 1959 წ. გარდაიცვალა. იერუსალიმის ცნობილი ექსპედიცია, რომელმაც ფრესკის უტყუარი წარწერა გვამცნო, მხოლოდ 1960 წელს შედგა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ერმა „რუსთველის“ ფრესკაზე განთავსების სიმართლე მანამდე არ იცოდა. ბუნებრივია, ეს არც გალაკტიონს შეიძლებოდა სცოდნოდა და უკიდეგანო ინტელექტით გამორჩეული პოეტიც გამყარებულ ტრადიციას მიენდო.

ანთროპონიმული ასპექტით, და არა მხოლოდ, მიგნებად და მნიშვნელოვან აღმოჩენად გვევლინება ი. მერაბიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ კრიპტოგრამის, როგორც ფარული კოდის, გამოვლენა, რაც პირველად მოხდა რუსთველოლოგიაში! ეს დიდი აღმოჩენა აკადემიკოსმა ი. მერაბიშვილმა გააკეთა შემდეგი სტროფის მაგალითზე, სადაც, თურმე, პირველ სამ ტაეპში მარცვლებად და ასოებად არის გაბნეული სახელი **„თამარი“**:

მე, რუსთველი ხელობი**თა**,
ვიქმ საქმესა ა**მა** და**რი**:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპა**თა**,
მისთვის ვხელობ, მისთვის **მ**კვდ**არი**;
დავუძლურდი, მიჯნურ**თა**თვის კვლა
წა**მა**ლი არსით ა**რი**,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა
მე სამარი.

საგულისხმოა, რომ აქამდე მკვლევარი მიჰყავს არა მხოლოდ დაგროვილ ცოდნასა და ტექსტთან ურთიერთობის გამოცდილებას, არამედ შინაგან „მეს“ გულის ძგერითა და ყურის სმენით. როცა გესმის, როგორ გეძახის ტექსტის ქსოვილიდან ბგერებად ქცეული მარცვალ-ასოები, მიჰყვები ამ ძახილის ხმას და პოულობ ტაეპებში სამგზის გაბნეულ სახელს – **თა..მ..არი.** ეს აუცილებლად ტექსტის მუსიკალური აღქმაა, მაგრამ, ამავე დროს ეს ის ღვთაებრივი მადლია, რომლითაც დაჯილდოებულია ბაირონისა და გალაკტიონის ხმისა და გულისთქმის სტრიქონ-სტრიქონ მაძიებელი მკვლევარი და მთარგმნელი.

როდესაც მეცნიერი ამ სტროფს დასტრიალებს, იქვე მიანიშნებს რუსთველოლოგიაში ფართოდ გამჯდარი აზრის შესახებ, რომ ტაეპში – „მე, რუსთველი, ხელობითა“ – პოეტი გულისხმობს ან მის სამსახურს თამარ მეფისათვის (ვახტანგ VI), ან იმას, რომ ის რუსთავის გამგეა და რუსთავი აქვს სახელოდ (აკაკი შანიძე). არაერთგზისი ნაკვლევისგან სრულიად განსხვავებულია ქალბატონი ინესას უაღრესად მნიშვნელოვანი ხედვა სიტყვა „ხელობასთან“ დაკავშირებით, კერძოდ ის, რომ ტაეპში „მე, რუსთველი ხელობითა“ „ხელობა“ უდრის „ხელოვნებას“, რასაც ზურგს უმაგრებს ისევ რუსთველისეული ფრაზა: „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“. ვრცელი კონტექსტოლოგიური ანალიზით აკადემიკოსი ი. მერაბიშვილი ეყრდნობა იმ უტყუარ ფაქტს, რომ რუსთველი, როგორც უმაღლესი რანგის პოეტი, „ხელობაში“ უპირველესად პოეტურ ხელოვნებას იგულისხმებდა, რომ პოეტობაა მისი მთავარი ხელობაცა და საქმეც, მით უმეტეს, პროლოგში რუსთველის მიერ წარმოდგენილი სამი ლექსის თეორიის თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი ეპოსი უპირველეს ხელოვნებადაა გამოცხადებული.

და აი, აქ ტექსტოლოგიის ვიწრო და ამოუცნობ ხვეულებში გაწაფული მეცნიერის მახვილ თვალს არ გამორჩენია მეტად მნიშვნელოვანი დეტალი: „ოთხივე შემთხვევაში, სადაც რუსთველი საკუთარ თავს ასახელებს, ეს ისევ და ისევ მის პოეტობასთან არის შერწყმული და დაკავშირებული“, საკუთრივ, პოეტობასთან, როგორც ხელობასთან.

ამ, ერთი შეხედვით, აშკარა ფაქტს, როგორც ჩანს, დანახვა უნდოდა და თქმა. ქალბატონმა ინესამ დაუჯერებლად დაინახა პოემის ავტორის მიერ შემოთავაზებული ეს ორი ფენომენი და ისინი ერთ სემანტიკურ რკალში მოაქცია – რუსთველი და პოეზია, რუსთველი და ხელობა, და თითქოს ერთ სინტაგმადაც წარმოგვისახა „პოეტი რუსთველი“. საკითხისადმი ასეთი მიდგომით, ამგვარი განჭვრეტითა და საჯაროდ თქმით, აკადემიკოსმა ი. მერაბიშვილმა ნამდვილად დადო კიდევ ერთი არგუმენტი პოეტის **რუსთველობისა და მისი „ხელობის“ ჭეშმარიტი რაობისა**!



უაღრესად საინტერესოა ქალბატონი ინესას აზრი საკუთრივ რუსთველის მიჯნურობასთან დაკავშირებით. მართალია, მკვლევართა ერთი რიგი (ნიკო მარი, პავლე ინგოროყვა და სხვა) ამტკიცებს რუსთველის გაშმაგებულ სიყვარულს თამარისადმი, მაგრამ რუსთველოლოგები, დაწყებული ვახტანგ VI-დან დღემდე, ძირითადად იფარგლებიან მონარქისადმი კუთვნილი სიყვარულის მიგების დანახვით. სკოლის ასაკიდან მოყოლებული დღემდე, ჯერ როგორც მოწაფე და სტუდენტი, შემდეგ როგორც პედაგოგი, დავიღალე მუდამ მორცხვად თავდახრილ მდგომარეობაში იმის მტკიცებით, რისაც მე თავად არ მჯეროდა: „მომეც მიჯნურთა სურვილი“, „დავუძლურდი, მიჯნურთათვის“, „იგია ჩემი სიცოცხლე“ და სხვა თამარისადმი მართლა მიჯნურობას კი არ გულისხმობს, არამედ მხოლოდ მეფისადმი პატივისცემასო. მიჯნურობის რუსთველისეულ თეორიაში კი ასეთი სახეობა არ არის გამოყოფილი, ისევე როგორც ადამიანთა შორის კეთილდამოკიდებული და მოყვარული განწყობა არ ნიშნავს მიჯნურობას. XXI საუკუნეში მაინც იქნებ მკვიდრად დაედოს სათავე გულახდილობას,

პოეტის გაშმაგებული სიყვარულის დანახვას. ამის მხილებით დღეს ნამდვილად აღარავითარი საშიშროება აღარ ელის „ვეფხისტყაოსანს“.

ინესა მერაბიშვილის მიერ თამარის გულმხურვალე მეხოტბის მიჯნურად აღიარების დასაბუთებაა იმის თქმაც, რომ ტექსტში მიკვლეულ კრიპტოგრამას, ანუ „სამჯერ ფარულად ნათქვამ **თამარს,** წინ უძღვის ერთხელ ახდილად ნათქვამი **რუსთველი**,“ რაც კიდევ ერთხელ აძლევს მეცნიერს საშუალებას, ამოიკითხოს რუსთველის მიზანი, საკუთრივ ის, რომ „იგი აუცილებლად თამართან ყოფილიყო დაწყვილებული.“ ეს კი შესანიშნავი წინადადებაა!

როგორც ზემოთ ითქვა, წერილის საკვანძო საკითხი პოემის ავტორის მოხსენიება მართებული ონიმით „რუსთველი“. ამიტომაც ჟღერს სტატიის სათაური ასე: „როგორ გვმართებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მოხსენიება“. საყოველთაოდ მიღებული სამი ვარიანტიდან სტატიის ავტორი, მიიჩნევს რა სარწმუნო დოკუმენტად პოემის პროლოგსა და ეპილოგს, გვთავაზობს მხოლოდ რუსთველს. უარყოფილია შოთა რუსთველი, მით უფრო შოთა რუსთაველი. ანთროპონიმიკული ასპექტით სამართლებრივად უფლებამოსილია ინესა მერაბიშვილის განაცხადი: **„პოეტის სახელი შოთაც რომ იყოს, ის თავს წარმოგვიდგენს მხოლოდ რუსთველად.“**

აქედან გამომდინარე, დავძენ, რომ ჩვენ არ ვართ უფლებამოსილი სხვაგვარი ანთროპონიმიკული ფორმულით მისი მოხსენიებისა. აქ ისევ გალაქტიონი-გალაკტიონის ფაქტს დავიმოწმებ და იმასაც დავძენ, რომ ვაჟა-ფშაველას ნაცვლად არასდროს ვიტყვით ლუკა რაზიკაშვილის „სტუმარ-მასპინძელიო“. ფსევდონიმის ასეთი უპირატესობის მაგალითი ბევრია ქართულ და მსოფლიო სამწერლობო სამყაროში. იგივე მოცემულობაა – **რუსთველი**.

უმნიშვნელოვანესია სტატიის ის მონაკვეთი, სადაც აკადემიკოსი ი. მერაბიშვილი მიმართავს **ჩანაცვლების** საინტერესო ხერხს. მოგეხსენებათ, ეპილოგის ბოლო სტროფი ასახავს ოთხი მწერლის ნამოღვაწარს, რომელთაგან ერთ-ერთი რუსთველია:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს
უქია ხონელსა,
აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი
მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა,
მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა რუსთველსა,
მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა.

აი, რას წერს ამის თაობაზე მეცნიერი: „დღესავით ნათელია, რომ აქ რუსთველი წარმოჩინდება, როგორც ერთ-ერთი მის თანამედროვე წამყვან მწერალთა და პოეტთა შორის. იგი ოთხ ავტორს ასახელებს: მოსე ხონელს, იოანე შავთელს, სარგის თმოგველსა და რუსთველს ანუ საკუთარ თავს. აქედან ორი წარმოდგენილია საკუთარი სახელითა და ზედსახელით, ხოლო შავთელი და რუსთველი – საკუთარი სახელის გარეშეა. შავთელისადმი მიძღვნილი პწკარი რუსთველისეზურად ტევადი და მოქნილია, მაგრამ, ჩანს, მისი სახელი – იოანე – თექვსმეტმარცვლიანმა პწკარმაც ვეღარ დაიტია. რა ახსნა მოეძებნება მეოთხე პწკარს, სადაც მეტრული ტევადობის ფარგლებში, ნაცვლად ნაცვალსახელისა „მისსა“, ავტორს თავისუფლად შეეძლო ეხმარა სახელი „შოთა“ და სტრიქონიც პოეტისთვის საკადრის ფორმას შეინარჩუნებდა: „ტარიელ – შოთა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“? მაგრამ, ეს ხომ პოეტს არ გაუკეთებია?! აი, კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელი შოთაც რომ იყოს, ის თავს წარმოგვიდგენს მხოლოდ და მხოლოდ, როგორც რუსთველს.“

მეტად ყურადსაღებია მეცნიერის მიერ ამ ფაქტის დანახვა, კერძოდ, ლექსის მეტრული შესაძლებლობის ფარგლებშიც კი პოეტი არ იყენებს **„შოთას“** ანთროპონიმად. ეს **კიდევ ერთი დასტურია,** რომ რუსთველის სახელად „შოთას“ მიჩნევა დამაფიქრებელია. თანახმად ი. მერაბიშვილისა, მისი კვლევისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ფონზე, აზრს კარგავს მსჯელობა იმის შესახებ, თუ რომელი დაბიდან ან ქალაქიდან იყო წარმოშობით პოეტი, რადგან მისი სახელდება ყველა პირობით ფსევდონიმია და „რუსთველის“ ეტიმოლოგიის დადგენა შემდგომ კვლევას საჭიროებს.



ვთვლი, რომ აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის ეს სამეცნიერო სტატია ჩვენი ეპოქის, XXI საუკუნის, ჭეშმარიტად ინოვაციური ხედვაა არა ოდენ რუსთველოლოგიაში, არამედ ონომასტიკაში.

**ქეთევან გოდერძიშვილი**
ფილოლოგიის დოქტორი, ონომასტიკოსი



# ლეგენდარული „მართვე“ – ახალ სამოსელში

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 45-წლიანი ისტორიის მქონე ანსამბლ „მართვეს“ სასცენო სამოსი გადასცა. ანსამბლი „მართვე“ 2018 წლიდან 2022 წლის 27 აპრილამდე სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავი“ სტრუქტურული ერთეული იყო. მიმდინარე წლის მაისიდან კი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინიციატივით, 45-წლიანი ისტორიის მქონე ანსამბლ „მართვეს“ დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა.**

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად კი **მიხეილ ჯავახიშვილი** დაინიშნა.

ანსამბლისთვის კომპანია „ფაფანაკის“ მიერ 50 ჩოხა-ახალუხის კომპლექტი „კულტურის მხარდაჭერისა პროგრამის ფარგლებში“ შეიკერა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ანსამბლ „მართვეს“ სამხატვრო ხელმძღვანელი მიხეილ ჯავახიშვილი და ანსამბლის წევრები ესწრებოდნენ.

ბრიფინგზე მინისტრმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო და კერძო ფოლკლორული ანსამბლების წინაშე არსებულ გამოწვევებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა მაღალი ხარისხის, სპეციალური ესკიზების მიხედვით შექმნილი ტრადიციული სასცენო სამოსის არქონაა.

სახელმწიფოს მხრიდან ანსამბლების სამოსით უზრუნველყოფა დაახლოებით 15 წელია, არ მომხდარა, რის გამოც სამინისტროს გადაწყვეტილებით გამოცხადდა ორი ტენდერი – 2021 წლის დეკემბერში გამოყოფილ იქნა 197 999 ლარი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 12 სხვადასხვა ანსამბლისთვის მათ საჭიროებაზე მორგებული სასცენო სამოსისა და აქსესუარების შესაძენად. ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ფაფანაკის“ მიერ ეტაპობრივად ხორციელდება ანსამბლებისთვის შეკერილი სასცენო სამოსის გადაცემა. ხოლო მეორე ტენდერის ფარგლებში, რომელიც სამინისტრომ 8 ივნისს გამოაცხადა, გამოყოფილია 141 000 ლარი და მის ფარგლებში ახალი სასცენო სამოსი კიდევ რვა ფოლკლორულ ანსამბლს გადაეცემა.

ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „მართვე“ 1978 წელს თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა საერთაშორისო ფოლკლორული ცენტრის ბაზაზე დიდი ქართველი მოღვაწის ანზორ ერქომაიშვილის და წარსულში ამავე ცენტრის დირექტორის, აწ გარდაცვლილი **ნათელა ჯილაურის** ინიციატივით დაარსდა.

ანსამბლი „მართვე“ არაერთი სახელმწიფო პრემიისა და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი და მრავალი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია. ანსამბლის შესახებ შექმნილია მუსიკალური ფილმი „მღერის „მართვე“, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოცემულია წიგნი, 2011 წელს კი, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, გაიხსნა „მართვეს“ ვარსკვლავი.

სხვადასხვა დროს „მართვეს“ ლოტბარები იყვნენ ქართული სამუსიკო ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები აწგანსვენებული **კოტე მშვიდობაძე** და **რამინ მიქაბერიძე.** 1995 წლიდან ანსამბლის მთავარი ლოტბარია „მართვეში“ აღზრდილი ვალერი ქუტიძე.

# თბილისს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი შეემატება

**თბილისის ისტორიულ უბანში, „მიხაილოვის“ ყოფილი საავადმყოფოს ტერიტორიაზე თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი აშენდება.**

საუბარია არა მხოლოდ მუზეუმზე კლასიკური გაგებით, არამედ კულტურის ახალ, თანამედროვე კერაზე, რომელიც აღჭურვილი იქნება საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საბიბლიოთეკო, საგამომცემლო, საგამოფენო და დასასვენებელი ფუნქციებით.

**თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის პროექტის კონცეფციის ავტორი რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი შალვა ბრეუსი მსოფლიოს თანამედროვე ხელოვნების მოყვარულთა შორის ცნობილია, როგორც თანამედროვე ხელოვნების ექსპერტი, არაერთი საერთაშორისო კონკურსის, მათ შორის, მარსელ დუშანის პრემიისა და გერლენების მხატვრობისა და გრაფიკის პრემიების ჟიურის წევრი, გამომცემელი, კოლექციონერი და ფილანტროპი. საქვეყნოდ აღიარებულია თანამედროვე მხატვრობის მისი კოლექციაც, რომლის ბირთვიც გერმანელი ექსპრესიონისტების ნამუშევრებია. კოლექცია მდიდარია თანამედროვე ქართული მხატვრობის ნიმუშებითაც. შალვა ბრეუსს დაფუძნებული აქვს საკუთარი სახელობის საერთაშორისო ფონდი, რომლის მიერ დაარსებული კანდინსკის პრემიაც, ბრიტანული ტერნერისა (Turner Prize) და ფრანგულ მარსელ დუშანის (Marcel Duchamps Prize) ჯილდოებთან ერთად, თანამედროვე ხელოვნების მსოფლიოს 3 წამყვან პრემიას წარმოადგენს.**

ბიზნესმენი დიდი ხანია, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის უნიკალურ პროექტზე მსოფლიოს წამყვან სპეციალისტებთან ერთად მუშაობს. ასევე წლებია, მიმდინარეობს მუზეუმისთვის ადგილის შერჩევა. განიხილებოდა ვენეციის, მოსკოვის, ბრიუსელისა და თბილისის არქიტექტურულად საინტერესო ადგილები და ძეგლები, მაგრამ ბრეუსმა არჩევანი თბილისზე გააკეთა.

„მე დავიბადე და გავიზარდე საქართველოში, მიყვარს საქართველო, მიყვარს ხელოვნება და ამ ორი ვექტორის გადაკვეთის ემოციამ გადამაწყვეტინა, პროექტი თბილისში განმეხორციელებინა“, – აღნიშნა შალვა ბრეუსმა.

მის სახელს უკავშირდება არაერთი საქველმოქმედო პროექტი საქართველოში, რომელთა შორის აღსანიშნავია ნეველის სახელობის ეკლესიის რესტავრაცია აბასთუმანში და ნესტეროვის მიერ დაწერილი უნიკალური ფრესკების გადარჩენა; ბათუმში, სამების მთაზე წმინდა სამების საეკლესიო კომპლექსის აშენება, რომელიც უკვე იქცა ქალაქის სავიზიტო ბარათად და რომლის გამოც იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უმაღლესი საეკლესიო ორდენით, წმინდა გიორგის ჯვრით დააჯილდოვა. მის სახელს უკავშირდება საქართველოში საეკლესიო მოზაიკის დაკარგული ტრადიციის აღდგენაც.

**„ასეთი ადამიანი სჭირდება დღეს ქართველ ხალხს“,** – ამ სიტყვებით აფასებს მსახიობი და მწერალი გივი სიხარულიძე შალვა ბრეუსს და ამბობს, რომ შალვა ბრეუსმა გადაწყვიტა ამ პროექტით საქართველოს ისეთი რამ გაუკეთოს, რაც მთელ მსოფლიოში სამარადისოდ გაუთქვამს სახელს თბილისს და ზოგადად, ქვეყანას.

**„შალვა ბრეუსს 10 თეთრი არ უშოვია საქართველოში. ფული იშოვა რუსეთში, თავისი ჭკუით, თავისი გონებით. ამ უნიჭიერესმა კაცმა, დიდმა მეცნიერმა, დიდმა საზოგადო მოღვაწემ, საოცარმა**




**პიროვნებამ, როგორი ხალხიც სჭირდება დღეს ჩემს ერს და რომელიც სანთლით არის საძებნელი, გადაწყვიტა, საქართველოს გაუკეთოს ისეთი რამ, რაც სამარადისოდ მთელ მსოფლიოში გაუთქვამს სახელს ჩვენს თბილისს და ჩვენს ერს. რაც მთავარია, ეს პირველი და უკანასკნელი არ არის. ამ კაცმა, რამდენიმე ხნის წინ სამების ეკლესია აჩუქა ქალაქ ბათუმს და საქართველოს. სამების ეკლესია – ეს არის შედევრი. ეს არის საოცრება, რაც შეიძლება იყოს მოზაიკაში გაკეთებული: ხატები, ნახატები, ღვთიური ქმნილებები“,** – ამბობს გივი სიხარულიძე.

4 მარტის ობიექტისთვის უკვე მეოთხე აუქციონზე „მიხაილოვის“ ყოფილი საავადმყოფოს შენობა შალვა ბრეუსის ფირმამ შპს „ჰანსამ“ 16 მილიონ ლარად შეიძინა. პრეტენდენტები აუქციონზე არ ყოფილან, რადგან პროექტი იმთავითვე ობიექტის კულტურულ დანიშნულებას ითვალისწინებდა და ბიზნესმენებისთვის კომერციულად საინტერესო არ აღმოჩნდა. საპრივატიზებო პირობების მიხედვით, ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსი, მათ შორის მუზეუმები, ბიბლიოთეკები, კაფეები და სხვა საჯარო ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოს.

ხელოვნების არც ერთი მუზეუმი მსოფლიოში არ არის და ვერ იქნება მომგებიანი. ეს არის წმინდა სოციალური და კულტურული ტვირთის მატარებელი პროექტი, რომელშიც 5 წლის განმავლობაში 30 მილიონი ლარის ინვესტირება მოხდება. ასევე შენარჩუნდება „მიხაილოვის“ საავადმყოფოს ისტორიული ძეგლის იერსახე და ისტორიული პარკის მწვანე საფარი.

პროექტის ავტორი ამ სირთულის გადაჭრას კონკურსში მსოფლიოს წამყვანი არქიტექტორების ჩართვით აპირებს. ამ მიზნით კონკურსი უკვე გამოცხადებულია და ივლისში საქართველოს მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული და საუკეთესო არქიტექტორების ჯგუფი ეწვევა, რომლებიც ობიექტს ადგილზე გაეცნობიან და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის არქიტექტურაზე დაიწყებენ მუშაობას.

◎ ორ ფრონტზე



# კორტზეც, სასამართლოშიც

**უკვე გაუწყეთ, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილმა გაიმეორა დიდი სლემის ტურნირებზე უკვე შორეულ — 2015 წელს დაფიქსირებული საუკეთესო შედეგი და ამჯერად უიმბლდონის მესამე წრეში გავიდა ჩეხი ლუკაშ როსოლისა და ფრანგი კუენტინ ჰალისის დამარცხების შემდეგ.**

მსოფლიოს 22-ე ჩოგნის წლევანდელი წარმატება პირველისგან განსხვავებით გაცილებით წონადია ორი მიზეზის გამო: გარდა იმისა, რომ იგი მიღწეულია საჩოგბურთო სამყაროში ყველაზე პრესტიჟულად მიჩნეულ კორტზე, მას შავ ლაქად გასდევს ქვეყნის საამაყო სპორტსმენის მიმართ აგორებული ნაირ-ნაირი სკანდალებითა და გაჭიანურებული სასამართლო პროცესებით გამოწვეული ფსიქოლოგიური წნეხი, ეს კი, დაგვეთანხმებით, ნებისმიერ, მათ შორის მტკიცე ნერვული სისტემით გამორჩეულ პიროვნებასაც კი გამოიყვანს მწყობრიდან.

უკანასკნელ თემას წერილის ბოლოს კიდევ დავუბრუნდებით, მანამდე კი ისევ უიმბლდონი:

ჩვენს თანამემამულეს ნამდვილად შეეძლო მეოთხე წრეში გასვლა, სადაც თვით ნოვაკ ჯოკოვიჩს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ზემოთ უკვე ჩამოთვლილ გარემოებათა გარდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ნიდერლანდელი სეზონის აღმოჩენის ტიმ დე რედჰოვენის ფაქტორიც პრობლემატურს ხდიდა ახალი რეკორდის დამყარებას. სხვა თუ არაფერი, მან ამასწინანდელ მასტერსზე თვით საერთაშორისო კლასიფიკაციის რუსი პირველი ნომერი დანიილ მედვედევი დაჯაბნა.

მოკლედ, ღირსეული ოპონენტის თითქმის უნაკლო პირველი მოწოდება და 21 ეისი გადამწყვეტი აღმოჩნდა — 6:4, 6:3, 6:4, ახლა კი დაპირებული ტექსტი:

**„თბილისის საქალაქო სასამართლოში ბიზნესმენ ირაკლი კაჭარავას მიერ ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის თითქმის 1-წლიანი განხილვა დასრულდა. მოსამართლე არჩილ კოჭლამაზაშვილმა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა და თქვა, რომ კაჭარავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა“.**

საქმის მეტი დეტალის გასარკვევად, ბასილაშვილის ადვოკატი ირმა ჭკადუა განმარტავს, რომ მოსარჩელე მხარის მტკიცებით, 2015-დან 2020 წლამდე ჩოგბურთელთან ხელშეკრულება იყო დადებული.

**„ირაკლი კაჭარავა ამბობდა, რომ იყო ნიკოლოზ ბასილაშვილის სპონსორი, ინვესტორი და მოგებიდან წილსა და სარეკლამო შემოსავლებიდან 30 პროცენტის მიღებას ითხოვდა. ბატონ ირაკლი კაჭარავას სასამართლოზე არანაირი ხელშეკრულება არ წარმოუდგენია და ვერც წარმოადგენდა, რადგან ასეთი ხელშეკრულება ბუნებაში არ არსებობს“** — აღნიშნავს უფლებადამცველი.

მისივე თქმით, არასწორია ინფორმაცია, რომ თითქოს საქმეში ძმები კაჭარავები ფიგურირებდნენ.

**„ამ საქმეში ფიგურირებდა არა ორივე ძმა, არამედ მხოლოდ ერთი — ირაკლი კაჭარავა, რომელსაც არანაირი მტკიცებულება არ ჰქონდა. ყველანაირად ცდილობდნენ, რომ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს მიღმა ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის რეპუტაციული პრობლემა შეექმნათ, მაგრამ ამჯერადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ არგუმენტები ბუნებაში არ არსებობდა. შესაბამისად, ბატონმა არჩილ კოჭლამაზაშვილმა ბატონი ირაკლი კაჭარავას სარჩელი არ დააკმაყოფილა. ბატონ ირაკლი კაჭარავას საზოგადოება დაჟინებით შეჰყავდა შეცდომაში და ამბობდა, რომ ამ პროცესს მოიგებდა და რომ ნიკოლოზ ბასილაშვილი არაკეთილსინდისიერი ადამიანია“** — დასძინა ირმა ჭკადუამ.

◎ დაუჯერებელი!

# ჯერ თავი და თავიც...

**ქართული სპორტის შავი პარასკევი ნიკოლოზ ბასილაშვილისა და წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების დამარცხების შემდეგ ქვეყნის მთავარმა საკალათბურთო გუნდმა გააგვირგვინა, მაგრამ როგორც თვით მსოფლიოს ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა, ისე მისი პროლოგი და, განსაკუთრებით, ეპილოგი ძნელია მხოლოდ სპორტულ პრიზმაში განიხილო. უპირველესად, „ჯვაროსანთა“ თავს ღრუბლები მატჩისწინა მოთელვაზე მოიქუფრა, როცა გოგა ბითაძემ მუხლის ძველი ტრავმა გაიმიზეზა და ილიას ზუროსმა ვერ გარისკა მისი ბრძოლაში ჩაბმა, მაგრამ ეს არაფერს წარმოადგენდა იმ ამაზრზენ ფაქტთან შედარებით, რაც თურმე თურქ, ჩეხ და ხორვატ მსაჯთა ბრიგადის საფინალო სასტვენის შემდეგ გველოდა.**



საუბარია თამაშის ნომინალურ მასპინძელთა — უკრაინელთა ადგილობრივ-ლატვიელ თავკაცზე, საქართველოში ნამუშევარ **აინარს ბაგატსკისზე,** რომელმაც უკადრებელი იკადრა და სტუმართა სათადარიგოთა სკამს უზრდელური ჟესტი უჩვენა. ბუნებრივია, ამას ვითარების დაძაბვა მოჰყვა, თუმცა, გონივრული ეჭვი გვკარნახობს, რომ სამამულო ომში ჩაბმულ დნეპრისპირელთა თუ მათ წარმომადგენელთა მსგავსი თავხედობის კვალს „რიგა არენის“ მიღმა, უფრო კონკრეტულად კი უკრაინული პოლიტელიტის არამეგობრული სიტყვებისა თუ საქმეებისაკენ მივყავართ.

დიახ, უკანასკნელი ტრაგიკული თვეები უკვე მერამდენედ გვარწმუნებს, რომ ზომიერების დაცვა ყველაფერშია საჭირო, მათ შორის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში და ცალმხრივ, მხოლოდ გარკვეულ სუბიექტთა შორის მეგობრობას, ისევე როგორც სიყვარულს, დიდი დღე არ უწერია. ასე რომ, ამ მაგალითმა მაინც გვასწავლოს ჭკუა და საკუთარ ღირსებასა და თავმოყვარეობაზე მომავალში მაინც გაგვაკეთებინოს აქცენტი.

რაც შეეხება სარბიელზე განვითარებულ მოვლენებს, რამდენიმე ლიდერის — ლენი, ბლიზნიუკი, ლიპოვი — არყოფნის მიუხედავად, მეტოქემ სამაგალითო დაცვით პირწმინდად დაგვჯაბნა და პირველ წრეში თბილისში დამარცხებისთვის, როცა, სხვათა შორის, ძალიან გვანერვიულა (83:88), დამსახურებული რევანში აიღო — 79:66.

სავალალოა, რომ პარტნიორთა ჩავარდნის ფონზე „ჯვაროსანთა“ ქულების ორი მესამედი შენგელია-მაკფადენის დუეტზე განაწილდა (ამ უკანასკნელს შორეული ტყორცნები მაშინ წაუვიდა, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო), ხოლო შერმადინმა, მართალია, 11 მოხსნა მოაგროვა, მაგრამ 6-დან მხოლოდ 1 საჯარიმო ჩააგდო.

ასეა თუ ისე, მეორე ჯგუფურ რაუნდში ისედაც გასულნი ვიყავით და ბევრი ისევ ისისინებს, გამარჯვება მოძმე ქვეყანას უფრო სჭირდებოდა, რასაც უფრო მეტი მოტივაცია ემატებოდა და აუცილებელი ქულები ფეშქაშად ჩავახუტეთო. რას ვიზამთ, ენას ძვალი არა აქვს.

რაც შეეხება უახლოეს გამოცდას, ვიმედოვნებთ, რომ ბიჭები სწორ დასკვნებს გამოიტანენ ბალტიისპირული გაკვეთილიდან და დღეს 19 საათზე ჯიგრიანი თამაშით აღნიშნავენ დამდეგი ევრობასკეტისთვის აშენებული ახალი მულტიფუნქციური დარბაზის ისტორიულ გახსნას. მეტოქე ხომ მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთია!

◎ აუზში



# ტოლ-სწორად

**მართალია, იმ ნავსიან დღეს ქართველი წყალბურთელებიც დამარცხდნენ, მაგრამ მათზე აუგის სათქმელად ძნელად თუ მოუბრუნდება კაცს ენა, რადგან გარდა იმისა, რომ სადებიუტო მსოფლიოს ჩემპიონატზე საპატიო მეათე ადგილი დაიკავეს, ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს და ღირსება შეინარჩუნეს.**

**იაპონია - საქართველო 16:15**
**(3:6, 7:3, 2:2, 4:4)**

ჩვენს მსგავსად, მეტოქემ მხოლოდ მინიმალური უპირატესობით წააგო შეხვედრა მონტენეგროს ძლიერ გუნდთან, ხოლო მეორე საპლეიოფო ეტაპზე შავი დღე აყარა კერკეტ კაკალ ავსტრალიას.

ასე რომ, გრიგალისებურ ტემპში მოთამაშე იაპონელებთან კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ პროგრესის გზას ვადგავართ. სხვათა შორის, ისიც სათქმელია, რომ რევანში სწორედ მათ მართებდათ.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ პირველი პერიოდი 3 ბურთით მოვუგეთ, მაგრამ...

**ნახევარფინალები: იტალია — საბერძნეთი 11:10, ესპანეთი — ხორვატეთი 10:5.**

◎ ოვალური ბურთი

# ტანგო „აია არენაზე“

**როგორც მოგეხსენებათ, დამოუკიდებელი ქართული რაგბის აკვანი ქუთაისში დაირწა, სადაც „ბორჯღალოსნებმა“ ისტორიული პირველი შეხვედრა ზიმბაბვეს გუნდს მოუგეს.**

და აი, 30 წლის შემდეგ **ლევან მაისაშვილის** შეგირდები რიონის ნაპირებზე დაბრუნდნენ და გუშინ „აია არენაზე“ არგენტინა XV-ს უმასპინძლეს.

**„ჩვენი მეტოქე წლეულს განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობით გამოირჩევა და მერწმუნეთ, დამოუკიდებელი ნაკრების სახით რომ თამაშობდეს, მსოფლიო რეიტინგის მოწინავე 15-ეულში აუცილებლად იქნებოდა“,** — ასე შეაფასა სამხრეთამერიკელები ზაფხულის ტესტ-მატჩების სერიის პირველი შეხვედრის წინ ჩვენებურთა კაპიტანმა **მერაბ შარიქაძემ** და დასძინა:

**„არგენტინა XV არის გუნდი, საიდანაც ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები იკვებება, რომელმაც შოტლანდიას 26:18 სძლია. როგორც წესი, იქ მოხვედრილი მორაგბე 2-3 წელიწადში ძირითადი გუნდის წევრი ხდება. ფაქტია, რომ ვეთამაშებით ძალიან ძლიერ მოწინააღმდეგეს კვალიფიციური მწვრთნელით, რომლის შემადგენლობაშიც ისეთი მორაგბეები არიან, რომელთა ანგარიშზე უკვე რამდენიმე კეპია. ხარისხიანი და რთული ბრძოლა გველოდება, რაც აუცილებლად წაგვადგება 10 ივლისს ბათუმში იტალიასთან გასამართავი პრინციპული ჯახის წინ.**

**რაც შეგვეხება ჩვენ, ინტენსიურად ვემზადებით სტაფის ახალ წევრთა მეთვალყურეობით, რომლებმაც საწვრთნელ პროცესში ახალი დეტალები შემოიტანეს. თავდაუზოგავად ვშრომობთ პროფესიულ გარემოში და სერიოზული გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად მაქსიმუმს ვაკეთებთ“.**

* * *

**გუშინ, ქუთაისი, ივლისის ტესტ-მატჩების სერია.**

**საქართველო - არგენტინა XV**
**24:30 (პირველი ტაიმი — 14:6)**



# უფასო რჩევები საქართველოს ოპოზიციას:

(მეორე გვერდიდან)

**4. ოპოზიციური მედია უნდა გახდეს აკადემიური, საქმეზე ორიენტირებული, ხელისუფლების კრიტიკა უნდა იყოს მშვიდი, კვალიფიციური, ზუსტი. სიყვითლე და „ფეიკები" უნდა შემცირდეს მინიმუმამდე. დედის გინება, ფურთხება, ლანძღვა, ბარდაგი უნდა შეწყდეს... დეპოლარიზაცია...**

**5. დინოზავრები უნდა გადაშენდნენ და გზა უნდა გაეხსნათ ახალი საფეხურის პოლიტიკოსებს. არ არის აუცილებელი, რომ ისინი ახალგაზრდები იყვნენ, აუცილებელია, რომ სხვანაირი კულტურა და განათლება ჰქონდეთ.**

ამგვარად „ქართული ოცნების" ხელისუფლების შეცვლის შანსი გაგიჩნდებათ, მიუხედავად უსამართლო საარჩევნო სისტემისა!!! წინააღმდეგ შემთხვევაში, „ქართუ ბანკის" პლასტიკური ბარათების დამზადების განყოფილების თანამშრომელთა პარტია მომავალ არჩევნებზე კვლავ გაიმარჯვებს.

თუმცა, გაქვთ მეორე გზაც — არეულობა ნებისმიერ ფასად! არეულობა ნებისმიერ საფუძველზე!

უბრალოდ, არეულობის ფასი მხოლოდ ხელისუფლების ცვლილება არ იქნება. მრავალწლიანი არეულობის ფასი ქვეყნის საბოლოოდ ჩამოშლაც შეიძლება გახდეს.

**ლევან ლორთქიფანიძე,**
**პოლიტოლოგი**

# არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა თავიანთი ხედვა წარმოადგინა

არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა ევროკავშირის რეკომენდაციების 12 პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით თავიანთი ხედვა წარმოადგინა.

**„საიამ", „სამართლიანმა არჩევნებმა", „საფარმა", „ღია საზოგადოების ფონდმა", „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა", „კოალიციამ მედიის ადვოკატირებისთვის", „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" ერთობლივად შეადგინეს გეგმა, რომელიც მთავრობის მიერ კონკრეტულად გადასადგმელ ნაბიჯებს მოიცავს.**

**მათი განცხადებით, პირველი პუნქტის შესასრულებლად, რომელიც პოლარიზაციის დასრულებას გულისხმობს, მხარეები უნდა დაუბრუნდნენ შარლ მიშელის დოკუმენტს. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შედგენილი ხედვა ასევე გულისხმობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმასა და სააგენტოს შექმნას, რომელიც კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმებს გააერთიანებს. მათი თქმით, 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად მთავრობის მხრიდან პოლიტიკური ნების გამოხატვაა საჭირო.**



**მათივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მე-11 პუნქტი შესრულდება, რაც ძალაუფლების გადანაწილებას გამოიწვევს, ავტომატურად შესრულდება მე-5 პუნქტიც, რომელიც დეოლიგარქიზაციას ეხება.**

# დღეს ერთიანი ეროვნული გამოცდები იწყება

**დღეს, 4 ივლისს ეროვნული გამოცდები 09:00 საათზე, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყება. პირველ სესიაზე რეგისტრაციას აბიტურიენტები 08:00 საათზე გაივლიან, მეორე სესიაზე კი — 14:00 საათზე. მეორე სესიის საგამოცდო დროდ 15:00 საათი განისაზღვრა.**

მთელი საქართველოს მასშტაბით გახსნილია 22 საგამოცდო ცენტრი, რომლებიც ჯამში 90 000-მდე რეგისტრირებულ პირს მოემსახურება. ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის წელს 41 000-ზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა; სტუდენტთა საგრანტო კონკურსზე დარეგისტრირებულია 2 500-ზე მეტი სტუდენტი; საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის 9 500-ზე მეტი აპლიკანტი, ხოლო მასწავლებლის საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდის ჩასაბარებლად სულ 35 500-ზე მეტი მსურველია დარეგისტრირებული.

ამასთან, იმ პირებისთვის, რომლებსაც ეროვნული გამოცდების პერიოდში კორონავირუსი დაუდასტურდებათ, დაინიშნება დამატებითი სეანსები. ისინი ვირუსის დადასტურებიდან მერვე დღეს შეძლებენ გამოცდაზე გასვლას.

# ხსენება წმიდათა დიდებულთა მოწამეთა, საქართველოს მეფეთა არჩილის (744) და ლუარსაბისა (1622)

**4 ივლისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქართველ მეფეებს არჩილს და ლუარსაბს.**

...მეფე არჩილმა ხელი მიჰყო უსულოთაგან იავარქმნილი ქვეყნის აღორძინებას. ქუთაისში 12 წლის განმავლობაში იჯდა იგი. შემდეგ ქართლში გადმოვიდა, შემოიერთა კახეთი, მთიანეთი, ეგრისი, აფხაზეთი და სამცხე-ჯავახეთი. მურვან ყრუსგან დარბეული ქვეყანა ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული, როცა არაბთა მარბიელმა ლაშქარმა ჭიჭუმ ასიმის მეთაურობით კვლავ ააოხრა ქართლი და გეზი კახეთისკენ აიღო. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. არჩილ მეფემ გადაწყვიტა „სულისა თვისისა დადებად სახსრად ქრისტეანეთათვის"... უმჯობეს არს სიკვდილი ჩემი ვიდრელა კუალად განრყუანად ეკლესიას ქრისტიანეთასა და ოხრებად ქვეყანისა ამისა".

მეფე არჩილი ეახლა ჭიჭუმ ასიმს მშვიდობის სათხოვნელად, მან კი რამდენიმე დღე დიდებულად ისტუმრა ქართველთა მეფე, შემდეგ კი მაცხოვნებელი სჯულის დატოვება და სარკინოზთა სარწმუნოების მიღება მოსთხოვა. პასუხად რომ უარი მიიღო, საპყრობილეში ჩასვა და



მისი მოკვდინება ბრძანა. ქართველმა აზნაურებმა წმინდანის ნეშტი ნოტკორაში მის მიერვე აგებულ ტაძარში დაკრძალეს.

* * *

**...ლუარსაბ მეფე კი ტახტზე ავიდა 1606 წელს. ამ დროს შაჰ-აბას პირველმა თურქებს აღმოსავლეთ საქართველო წაართვა. გაბრაზებულმა თურქებმა ყირიმელ თათრებთან ერთად გადამწყვეტი ლაშქრობა მოაწყვეს და მოულოდნელად თავს დაესხნენ ქართლს. მეფე ლუარსაბი ამ დროს ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა მცირეოდენი ამალით და ალბათ ვერაფრით გადაურჩებოდა მტრის უეცარ დარტყმას, მაგრამ კველეთელმა მღვდელმა თევდორემ, რომელსაც უსჯულოებმა მეფის სამყოფელისკენ გზის ჩვენება დაავალეს, სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით ატარა ისინი... ამასობაში მეფემ შეკრიბა ჯარი და ტაშისკართან სასტიკად დაამარცხა მტერი. გავიდა ხანი ქართლსა და კახეთს სპარსელები დაეპატრონნენ, ლუარსაბი შაჰმა ჯერ დაინათესავა, შემდეგ თავისთან იხმო. შაჰმა პირდაპირ ქრისტეს უარყოფა და ალაჰის აღიარება უბრძანა მეფეს. ლუარსაბმა ქრისტე არ უარყო და პასუხად ის მოაშთვეს...**

წმიდა არჩილის და ლუარსაბის ღვაწლს ათასი წელი აშორებს, მაგრამ მათი ხსენება ეკლესიამ ერთ დღეს დააწესა.

**გიული ლიპარტია**

## სანთელი

**ლევან, თამილა, ნანა ჭიჭინაძეები, მარიკა პოპიაშვილი, გოჩა, არსენა, დათო ყოჩიაშვილები გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ დათო, ლია, ლალი შეითნიშვილების ოჯახებს უსაყვარლესი დედის, ღვაწლმოსილი პედაგოგის, კდემამოსილი ქალბატონის**

**ლამარა მატიაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**დაკრძალვა სამშაბათს, 5 ივლისს ქალაქ დედოფლისწყაროში, 14 საათზე. მისამართი: მ. კოსტავას ქ. №50.**

# ივანე ჩხაიძე: კორონავირუსის შემთხვევების რაოდენობა გაორმაგდა

იმუნიზაციის ტექნიკურ მრჩეველთა ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელის ივანე ჩხაიძის განცხადებით, ბოლო ორი კვირის კანმავლობაში კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა გაორმაგდა, თუმცა მისი თქმით, დაავადება უმეტეს შემთხვევაში მსუბუქად მიმდინარეობს.



**„ბოლო ორი კვირის განმავლობაში შემთხვევები მატულობს და ეს მატება საკმაოდ მნიშვნელოვანია. გაორმაგებულია შემთხვევათა რაოდენობა, თუმცა მათი აბსოლუტური უმრავლესობა მსუბუქი რჩება. გარდაცვალების მაჩვენებელი, 0, 1, მაქსიმუმ 2 შემთხვევაა ბოლო ორი კვირის განმავლობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად შემთხვევების მატებისა, ამ ვარიანტის ბუნებიდან გამომდინარე დაავადება არ მიმდინარეობს მძიმედ და ძირითადად არიან პაციენტები, რომელთა მართვაც შესაძლებელია ბინაზე, ან ამბულატორიული მეთვალყურეობის ქვეშ",** — განაცხადა ჩხაიძემ.

## ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია"

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია"-ს (ს/კ 406350112) წევრთა საერთო კრება ჩატარდება **2022 წლის 19 ივლისს 10:30 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი №118, პავილიონი №3 (გამოფენა ექსპო ჯორჯია)** შემდეგი დღის წესრიგით:

**1. ასოციაცის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა დ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ავტორიზაციის შედეგად, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის კოლექტიურ სქემაში ჩართვის გათვალისწინებით, მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული შემდეგი ნარჩენის/ნარჩენების მიმართულებაზე: 1. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები; 2. ზეთები; 3. საბურავები და 4. ბატარეები და აკუმალტორების რეციკლირების გადასახადის განხილვა-დამტკიცება.**

**2. ასოციაციის 2022 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება;**

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ კრებაზე დასასწრებად, გთხოვთ, მოავლინოთ ხელმძღანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

# მართლაც გაოცებული ვარ ყველაფრით... ამ საქართველოში!

**საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან ცნობილ მსახიობსა და ინფლუენსერს საუდ ალ ქააბს უმასპინძლა.**



**ტურიზმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საუდ ალ ქააბი სპარსეთის ყურის ქვეყნების სატელევიზიო სერიალების პოპულარული მსახიობი და ტელეპროდიუსერია.**

ინფო-ტურის ფარგლებში ცნობილმა მსახიობმა და ინფლუენსერმა თბილისი, უფლისციხე, სტეფანწმინდა და ლოპოტა მოინახულა და ტურისტულად საინტერესო ადგილები გადაიღო. საქართველოს შესახებ საუდ ალ ქააბის პოსტებს სოციალურ ქსელში Instagram დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მსახიობის ვიდეოებმა ათიათასობით მოწონება დაიმსახურა.

ინფო-ტურის მიზანია არაბთა გაერთიანებულ საემიროებში საქართველოს ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია და სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან მაღალმხარჯველი ტურისტების მოზიდვა.

**„ამჟამად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან, რომელიც ჩვენს უმთავრეს მიზნობრივ ბაზარს წარმოადგენს, მასპინძლობს წამყვან მსახიობს და ინფლუენსერს, რომელმაც საქართველოში უკვე მოინახულა გარკვეული ადგილები და ტურისტულ პოტენციალს გაეცნო. აღსანიშნავია, რომ მის ინსტაგრამ გვერდზე რამდენიმე დღეში უკვე ოცდათხუტმეტიათასი მოწონება დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის ტურისტულმა პროდუქტმა. რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან პოზიტიური მოლოდინი გვაქვს, რომ ეს ტური მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ ქვეყნიდან საქართველოში ტურისტული ნაკადის ზრდას“,** — აცხადებს მედეა ჯანიაშვილი.

**— მე მართლაც გაოცებული ვარ ყველაფრით საქართველოში, ეს იყო საოცარი მოგზაურობა. მე მომეწონა ყველაფერი რაც ვნახე; არაჩვეულებრივი ბუნება, ინფრასტურქტურა, რომელიც აბსოლუტურად მზადაა ტურისტების მისაღებად, არაჩვეულებრივი რეზორტები, რომლებსაც ყველაფერი აქვთ თავგადასავლებისთვის, ბავშვებისთვის, საქორწინო მოგზაურობებისთვის, ვისაც რა უნდა იმის პოვნა შეუძლია საქართველოში. აქ არის ბევრი აღმოუჩენელი ადგილი, რაც უფრო საინტერესოს ხდის მოგზაურობას, შეგიძლია ჩამოხვიდე და აღმოაჩინო მეტი,** — აცხადებს საუდ ალ ქააბი.

# რუსული კულტურის ბოიკოტი არასწორია!

**გერმანიის კულტურის მინისტრი კლაუდია როტი მიიჩნევს, რომ რუსული კულტურის ბოიკოტი არასწორია. უკრაინული მედიის ცნობით, აღნიშნულის შესახებ კლაუდია როტმა გერმანული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.** მან გაიხსენა, რომ ცოტა ხნის წინ გერმანიის ერთ-ერთი ქალაქის მერმა ახალგაზრდულ ორკესტრს პეტრე ჩაიკოვსკის ნაწარმოების დაკვრა აუკრძალა. გაიმართა საჯარო დისკუსია, რის შემდეგაც კონცერტი დაუშვეს.



**„მე სრულიად არასწორად მივიჩნევ ყველაფერი იმის ბოიკოტს, რაც რუსულ კულტურას ეხება. მაგრამ, რა თქმა უნდა, დისკუსია გრძელდება. არსებობს ბევრი გაურკვევლობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვექცეთ რუსულ კულტურას. მიმაჩნია, რომ ბოიკოტი სრულიად არასწორია, რადგან ხშირად თავად რუსი ხელოვანები ცდილობენ ბოლო თავისუფლებების შენარჩუნებას. არსებობს დიდი რუსული კულტურა, მუსიკა, ლიტერატურა, ანტონ ჩეხოვი. არ მივცემ პუტინს უფლებას, წამართვას ჩეხოვი!“ —** განაცხადა როტმა.

# ყველაზე შორეული გალაქტიკა

**მეცნიერებმა დედამიწისგან ყველაზე შორს არსებული გალაქტიკის არსებობა დაადასტურეს. ვასედას უნივერსიტეტის (იაპონია), ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგები Astrophysical Journal Letters-ში გამოქვეყნდა.**

გალაქტიკის MACS1149- JD1 აღმოჩენა ტელესკოპ ALMA-ს (Atacama Large Millimeter Array) გამოყენებით, მისი გამოსხივების „წითელი წანაცვლების“ საშუალებით მოხერხდა. **ორი თვის განმავლობაში მიმდინარე კვლევამ აჩვენა, რომ გალაქტიკა 50 კმ/წმ სიჩქარით ბრუნავს, ხოლო მისი დიამეტრი 3000 სინათლის წელიწადია.**

# ქართველი მხატვრის გამოფენა არგენტინაში



**საქართველოსა და არგენტინას შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების ციკლის ფარგლებში, არგენტინის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პატრონაჟით, ბუენოს-აირესის ცნობილ გალერეაში „Hoy en el Arte“, ქართველი მხატვრის გოჩა გაიოსის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „ჩრდილები“ გაიხსნა.**

გამოფენის გახსნაზე, რომელსაც არგენტინის ხელოვნებისა და აკადემიური წრეების, დიპლომატიური კორპუსისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა კულტურისა და დიასპორის საკითხებში საქართველოს საელჩოს მრჩეველმა სოფია ვეკუამ. ხაზი გაუსვა რა საქართველოსა და არგენტინას შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლის საიუბილეო თარიღს, მადლობა გადაუხადა გოჩა გაიოსს არგენტინაში საქართველოს პოპულარიზაციასა და ორ ქვეყანას შორის ხელოვნების სფეროში კავშირების გაძლიერებაში შეტანილი წვლილისთვის.

**„ქაოსის გარღვევა“,** — ასე უწოდა გამოფენას მისმა კურატორმა, ცნობილმა ხელოვნების კრიტიკოსმა, არგენტინის სახვითი ხელოვნების ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა და ხელოვნების კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის წევრმა ელენა ოლივერამ, რომელმაც გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები სამეცნიერო-ფილოსოფიურ კონტექსტში მიმოიხილა. ელენა ოლივერას მიერ გამოფენისთვის მიძღვნილი ვრცელი კრიტიკა, ხელმისაწვდომია ესპანურ ენაზე.

**„საკუთარ სტილთან ერთად, გოჩა არტ ბრუტის, სიურეალიზმის, ნეოექსპრესიონიზმის ელემენტების გამოყენებით ასინთეზებს სხვადასხვა ექსპრესიულ მოდალობას, რომელთაც თითქოს ბაროკოს ლინზაში აქცევს, რაც საბოლოოდ „ნახვის სიგიჟეს“ იწვევს,** — აღნიშნავს ელენა თავის კრიტიკულ მიმოხილვაში.

**აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე სტუმრებს ქართული ღვინის დაგემოვნების საშუალება ჰქონდათ, რომლის დროსაც საელჩოს მრჩეველმა ქართული ღვინის საუკუნოვან კულტურასა და ღვინის დამზადების ტრადიციულ ტექნოლოგიაზე ისაუბრა.**

# ვენეციის დათვალიერება ფასიანი ხდება



**თითოეული ტურისტი, რომელიც არ გეგმავს ვენეციაში ღამის გათევას, უნდა დარეგისტრირდეს ონლაინ და გადაიხადოს გადასახადი 3-დან 10,50 დოლარამდე დღეში. მათ, ვინც უგულებელყოფს ახალ წესებს, 300 დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევთ.** ხელისუფლება ქალაქის დასათვალიერებლად გადასახადის დაწესებას 2023 წლის იანვრის თვიდან გეგმავს. ვენეციის ვიზიტორთა 80%-ზე მეტი ქალაქში მხოლოდ ერთი დღით ჩადის. ჯამში, იტალიის ქალაქს 30-40 ათასი ადამიანი სტუმრობს ყოველდღიურად.

# მერი ალიგატორზე დაქორწინდა

**მექსიკაში, ქალაქ სან პედრო ჰუამელულას მერი ვიქტორ ჰუგო სოსა ტრადიციული რიტუალის ფარგლებში ალიგატორზე დაქორწინდა.**

უძველესი რიტუალის მიზანი სიუხვის უზრუნველყოფაა. 7 წლის რეპტილიას მოიხსენიებენ როგორც „პატარა პრინცესას“, იგი ღვთაებას წარმოადგენს, მისი და ადგილობრივი ლიდერის „ქორწილი“ კი ღმერთებისა და ადამიანების ერთობლიობის სიმბოლოა. ცერემონიის დროს ალიგატორს ტრადიციულ საქორწილო კაბას აცვამენ და პირს უკრავენ, მერი კი „პატარძალთან“ ერობის ნიშნად, მას კოცნის.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 6 ივლისს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9077; ევრო - 3.0403
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5108;
100 რუბლი - 5.3109; თურქული ლირა - 0.1736;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7175;
1000 სომხური დრამი - 7.1618.

**ამინდი 4 ივლისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +12, | დღე | +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე | +27 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +14, | დღე | +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე | +28 |
| თბილისი: | ღამე | +16, | დღე | +27 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge